# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№89 (9769) 2024 წლის 1 აგვისტო. ხუთშაბათი

ფასი 1 ლარი


## ბოროტი ცინიზმი




### აკადემიკოსი ავთანდილ არაბული:

## „რუსთაველის სამეცნიერო ფონდი" ქართველოლოგიის წინააღმდეგ!




3

### პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი

## ქურდია თუ რექტორია?

### აი, რატომ არის დამნაშავე გ. ხუბუა



5

## ძალიან მაგარი ქართველი კაცი, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა!





– ახალგაზრდა კაცი, კახელი კაცი, ქიზიყელი, ძალიან მაგარი ქართველი კაცი დღეს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, რაც არის წარმოუდგენელი წარმატება. მინდა, მივულოცო ლაშას და თითოეულ თქვენგანს ეს არაჩვეულებრივი გამარჯვება. ასევე აღვნიშნავ, რომ რამდენიმე დღის წინ გახდა ლაშა ბექაური 24 წლის და ამ ასაკში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონობა არის რაღაც წარმოუდგენელი წარმატება. კიდევ ერთხელ ვულოცავ მას ამ წარმატებას", – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრემიერ-მინისტრმა ვიცე-ჩემპიონობა კიდევ ერთხელ მიულოცა ძიუდოისტ ტატო გრიგალაშვილს.

– ასევე მინდა, ტატო გრიგალაშვილს კიდევ ერთხელ მივულოცო გუშინდელი წარმატება. ოლიმპიური ვიცე-ჩემპიონობა. ტატომ გატეხა გუშინ ნავსი, მან აიღო პირველი მედალი და დღევანდელი წარმატებისთვის ესეც იყო ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი. მადლობა ბიჭებს, მადლობა ამ არაჩვეულებრივი გამარჯვებისთვის და სიამაყის განცდისთვის, რომელიც მათ მოგვანიჭეს!..

## ოქროს და ვერცხლის ბიჭები!

გუშინ ჩვენს ქუჩაზეც მოვიდა გა(ზაფხული) – აწ უკვე ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ლაშა ბექაურმა** (90 კგ) საქართველოს დელეგაციას პარიზის 33-ე საზაფხულო თამაშების პირველი ოქრო მოუხვეჭა. ვულოცავთ!

საერთაშორისო რეიტინგის ლიდერმა ტიტულის დაცვა ბულგარელი ივაილო ივანოვის ძლევით დაიწყო (ვაზარით), მეოთხედფინალში სამხრეთკორეელი ჯუიეოპ ჰანი წუთხა და 22 წამში დააიპონა, მარათონული ბრძოლა კი ნახევარფინალში ესპანეთის სახელით მოჭიდავე ტრისტან მოსახლიშვილთან გადაიტანა, რომელსაც დამატებით დროში შიდოებით მოუგო.

ფინალში ლაშამ მრისხანე იაპონელ მეტოქეს სანშირო მურაოს, რომელიც ზედიზედ მეოთხედ დაჯაბნა, ცუდად დაწყებული გადამწყვეტი რაუნდი დაუტრიალა, მის ერთ ვაზარის ორით უპასუხა და ძიუდოში პირველი ქართველი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

ასე რომ, **ლაშა ბუჯეჯიანის** განწვრთნილ ჯვაროსნებს პარიზში უკვე თითო ოქრო-ვერცხლი აქვთ ყულაბაში. დღეს ფრანგულ ტატამზე **ილია სულამანიძე** გავა...

## ღვთის გმობა არ არის პროგრესი!

### მსოფლიო საპატრიარქო ოლიმპიადის შესახებ

**მსოფლიო პარიზის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნაზე ისეთი სცენების მომსწრე გახდა, რომელიც შეურაცხმყოფელია ქრისტიანობისა და წმინდა სახარებისთვის. ამის შესახებ მსოფლიო საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი.**

– ოლიმპიური თამაშები წარმოადგენს უმაღლეს სპორტულ მოვლენას, რომელიც პლანეტის ყველა კუთხიდან მილიონობით ჩვენი და-ძმის ინტერესს იპყრობს და გახსნის ცერემონიას საზეიმო მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი მასპინძელ ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას, ხაზი გაუსვას თავის ისტორიას და ცივილიზაცია გააზიაროს გლობალური მასშტაბის პოზიტიური გზავნილებით. პარიზში გახსნის ცერემონიაზე, ჩვენ დიდი მწუხარებით გავხდით სცენების მოწმენი, რომლებიც შეურაცხმყოფელია ქრისტიანობისა და წმინდა სახარებისთვის და, ასევე, ყველა ცივილიზებული ადამიანისთვის, რომელიც აღიარებს რწმენის უფლებას და პატივს სცემს რელიგიურ სიმბოლოებს", – ნათქვამია მსოფლიო საპატრიარქოს განცხადებაში.

მსოფლიო საპატრიარქო აღნიშნავს, რომ ღვთის გმობა არ არის პროგრესი, არც ადამიანების რელიგიური მრწამსის შეურაცხყოფა არის უფლება. მსოფლიო საპატრიარქოში იმედოვნებენ, რომ მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდება!

### ოთარ იოსელიანი



7

## კაცი, რომელიც დააკლდა... პრესას

## ხაზარაძე ხალხს ხმას და 1,5 მილიარდ აშშ დოლარს სთხოვდა...

### ...ფულზე პარიზის არბიტრაჟმა უთხრა უარი – ახლა ჯერი ხალხზეა!

2



## კლასიკური ტურიზმის ქვეყნები ტურისტებს განუდგნენ!





12

## „მუხრანის პრემია – პოეტური მინიატიურები"

### კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს 18 წლის ასაკიდან.

# პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე



**საქართველოს** პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ირანის ახალ პრეზიდენტს **მასუდ ფეზეშქიანს** შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა ახლად არჩეულ პრეზიდენტს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ირაკლი კობახიძე ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიას დაესწრო, რომელიც მეჯლისში გაიმართა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი თეირანში პირველ ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად იმყოფებოდა.

## რატომ საუბრობენ შანტაჟის ენით, რატომ უნდა გადაიხადოს ხაზარაძემ ნახევარ მილიონ ევროზე მეტი ქართველი ხალხის სასარგებლოდ და როგორ აღვიდგინოთ ჩვენი ტრადიციული ფუნქცია...

**ირანიდან დაბრუნებულმა პრემიერმა, რომელიც იქ ახალი პრეზიდენტის მასუდ ფეზეშქიანის ინაუგურაციაზე იმყოფებოდა, ჟურნალისტებთან გამართა ბრიფინგი.**

პრემიერმა ჩვეული სიდინჯით უპასუხა მათ შეკითხვებს. რამდენიმე „მწვავე შეკითხვის" საგაზეთო ვარიანტს აქვე გთავაზობთ.



### საქართველოს მაქსიმალურად უნდა აღვუდგინოთ ტრადიციული ფუნქცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის...

**მთავრობის** მეთაურის თქმით, ამ კუთხით, ჩინური კომპანიის მონაწილეობას ანაკლიის პროექტის განვითარებაში ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა.

**„როდესაც ხაზარაძე საუბრობდა ჩინელი ინვესტორების მოზიდვაზე ანაკლიის პროექტისთვის, მე მაშინ არ მახსენდება ასეთი განცხადებები. რაც შეეხება ჩვენს ხედვას - ჩვენი ხედვა არის ის, რომ საქართველოს მაქსიმალურად უნდა აღვუდგინოთ ტრადიციული ფუნქცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, ევროპასა და აზიას შორის. იმისათვის, რომ ქვეყანამ ეს ფუნქცია მაქსიმალურად აღიდგინოს, იმისათვის, რომ გაძლიერდეს ჩვენი ფუნქცია შუა დერეფნის პროექტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია, მაქსიმალური თანამშრომლობა, როგორც დასავლეთის, ასევე, აღმოსავლეთის მიმართულებით. ამ კუთხით, ჩინური კომპანიის მონაწილეობას ანაკლიის პროექტის განვითარებაში ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩინურ ტვირთებზე იქნება ძირითადად დამოკიდებული ამ პორტის ეფექტიანი ფუნქციონირება",** — განაცხადა პრემიერმა

### შანტაჟის ენით საუბარი არ არის სწორი, მითუმეტეს, იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ფუნდამენტურად შეცვალა ის ვითარება...

**როდესაც** ქვეყანაში იყო დამკვიდრებული სააკაშვილის, „ნაცმოძრაობის" ავტორიტარული რეჟიმი, როცა პატიმრებს აწამებდნენ, როცა სასამართლო დაქვემდებარებული იყო სააკაშვილი-ადეიშვილის კლანს, როდესაც მიტაცება ხდებოდა სატელევიზიო მაუწყებლების, მედიასაშუალებების, მაშინ არ უსაუბრია არავის სანქციებზე, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

**„ჩვენ დავამკვიდრეთ ამ ქვეყანაში 2012 წლის შემდეგ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების პრაქტიკა. მანამდე, გახსოვთ, ტოტალურად ყალბდებოდა არჩევნები, 2012 წლის ჩათვლით. 2012 წლის შემდეგ დამკვიდრდა სრულიად განსხვავებული პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ეს არჩევნები იქნება ასევე თავისუფალი და სამართლიანი. მით უმეტეს, რომ ინერგება ახალი ტექნოლოგიები, ამ არჩევნებზე პირველად, საქართველოს ისტორიაში, ხმის მიცემა მოხდება ელექტრონული წესით, ასევე, ამომრჩევლები რეგისტრაციას გაივლიან ელექტრონული წესით და ხმები დაითვლება ელექტრონული წესით. ანუ, კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდება საარჩევნო პროცედურები ამ საპარლამენტო არჩევნებისთვის.**

**რაც შეეხება შანტაჟის ენით საუბარს — ეს არის კონტრპროდუქტიული. მე მინდა, ასევე შეგახსენოთ, რომ 2004-2012 წლებში, როდესაც საქართველოს ჰქონდა უმძიმესი პრობლემები, ქვეყანაში იყო დამკვიდრებული სააკაშვილის, „ნაცმოძრაობის" ავტორიტარული რეჟიმი, როცა პატიმრებს აწამებდნენ, როცა სასამართლო თავიდან ბოლომდე დაქვემდებარებული იყო სააკაშვილი-ადეიშვილის კლანს, როდესაც მიტაცება ხდებოდა სატელევიზიო მაუწყებლების, მედიასაშუალებების, მაშინ არ უსაუბრია არავის სანქციებზე და პირიქით, მაშინდელი ხელისუფლება ძალიან დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. კითხვები უნდა დაისვას საზოგადოების მხრიდან. შანტაჟის ენით საუბარი არ არის სწორი, მითუმეტეს, იმ ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ფუნდამენტურად შეცვალა ის ვითარება, რომელიც დაამკვიდრა ამ ქვეყანაში უცხოეთიდან მხარდაჭერილმა ხელისუფლებამ",** — განაცხადა პრემიერმა.

### სომხეთის პრემიერიც ესწრებოდა ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციას, რატომ არ გამოვიდნენ სომეხი ლომჯარიები, სომხური ტელევიზიები და არ დაგმეს...

**ჟურნალისტის** კითხვას, არის თუ არა მისი ვიზიტი ირანში პოლიტიკური განაცხადი და დასავლეთთან დაშორება, პრემიერმა უპასუხა, რომ ეს სამარცხვინო სპეკულაციაა.

მთავრობის მეთაურის თქმით, სომხეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ სურს დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავება, მსგავსი განცხადებები კეთდება მათ შორის დასავლეთის მხრიდან და სომხეთის პრემიერიც ესწრებოდა ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციას.

**„რატომ არ გამოვიდნენ სომეხი ლომჯარიები? რატომ არ გამოვიდა სომხური „მთავარი არხი" და რატომ არ დაგმო ფაშინიანის ვიზიტი? რატომ არ გამოვიდნენ სომხური „ტვ პირველი" და სომხური „ფორმულა" და რატომ არ დაგმეს ფაშინიანის ვიზიტი? იმიტომ, რომ სომხურ „მთავარ არხს" არ მიუღია ეს დავალება. სომხურ „მთავარ არხს" და სომხურ ლომჯარიას არ მიუღია ეს დავალება. თქვენ თქვენი რედაქცია გავალებთ, მაგრამ თქვენს რედაქციას ავალებენ საკუთარი პატრონები,"** — აღნიშნა პრემიერმა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე



## შალვა პაპუაშვილი:

# ხაზარაძე ხალხს ხმას და 1,5 მილიარდ აშშ დოლარს სთხოვდა...

**პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საქართველოს სასარგებლოდ გამოტანილმა გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ, საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, ყველას კარგად დაანახა, თუ რისთვისაა მოსული პოლიტიკაში ქართული ოპოზიცია. კიდევ ერთხელ აღმოჩნდა, რომ ნაციონალური მოძრაობის სატელიტი პარტია „ლელო", სინამდვილეში, მხოლოდ, თაღლითობის, უცხოეთის ინტერესების გატარებისა და საკუთარი ქვეყნის დაზიანებისათვის შექმნილი ორგანიზაციაა, ამის შესახებ „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრმა, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.**

„ჩვენ ყოველთვის ვეუბნებოდით და ვაფრთხილებდით ჩვენს მოქალაქეებს, ჩვენს ამომრჩევლებს, ქართველ ხალხს, რომ იმ პათეტიკური და ძალად ემოციური გამოსვლების უკან, რომლითაც „ლელოს" სახეები გამოირჩევიან, სინამდვილეში მანკიერი და საქართველოს დამაზიანებელი ინტერესები დგას.

პარიზის არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ ფაქტობრივად საფუძველი გამოაცალა „ლელოს" როგორც პარტიას და ხაზარაძე-ჯაფარიძეს როგორც პოლიტიკოსებს, ვინაიდან ამ პარტიის შექმნის მთელი პრეისტორია, მათი მხრიდან, სამ პოსტულატს უკავშირდებოდა:

**1. თითქოს საქართველომ ჩაშალა ანაკლიის პროექტი;**

**2. თითქოს საქართველომ ზიანი მიაყენა ხაზარაძე-ჯაფარიძის კომპანიას;**

**3. თითქოს ხაზარაძის და ჯაფარიძის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლებრივი საქმე უსაფუძვლო იყო.**

ამ სამი ბრალდებით, ისინი ცდილობდნენ საკუთარი თავისგან შეექმნათ მსხვერპლი და სამართლიანობისთვის მებრძოლად წარმოჩენილიყვნენ.

თუმცა, პარტიის შექმნიდან ოთხი წლის თავზე ეროვნულმა და საერთაშორისო სასამართლოებმა სრულად ჩამოშალეს ხაზარაძე-ჯაფარიძის პოლიტიკური თაღლითობა.

**1. პარიზის არბიტრაჟმა დაადასტურა, რომ პროექტი ჩაშალა თავად ხაზარაძე-ჯაფარიძის კომპანიამ და სახელმწიფოს აქ არანაირი წვლილი არ მიუძღვის. ყველას შევახსენებ, თუ რას ითხოვდნენ ხაზარაძე-ჯაფარიძე სახელმწიფოსგან, მას შემდეგ რაც მათ თავი ვერ მოუყარეს ინვესტიციისთვის საჭირო თანხას. მათ სურდათ, რომ სახელმწიფო, ბიუჯეტით, ანუ ხალხის ფულით, დადგომოდა მათ გარანტირებული მოგების თავდებში. ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ ისინი ანაკლიის პორტიდან ვერ მიიღებდნენ სასურველ მოგებას, ეს თანხა ყოველ ჯერზე უნდა მიეღოთ ბიუჯეტიდან. შესაბამისად, მიზანი იყო ისეთი ბიზნეს-სქემის აწყობა, სადაც მათ კომპანიას უნდა ჰქონოდა გარანტირებული მოგება საქართველოს მოსახლეობის ხარჯზე.**

**2. პარიზის არბიტრაჟმა დაადასტურა, საქართველომ არათუ ზიანი მიაყენა ხაზარაძე-ჯაფარიძის კომპანიას, არამედ პირიქით მათ აქვთ აქეთ, სახელმწიფო ბიუჯეტისთვის 650 000 აშშ დოლარის გადასახდელი. საზოგადოებას იმასაც შევახსენებ, რომ ხელშეკრულებაში შეტანილი რამდენიმე ცვლილებით სახელმწიფომ ხაზარაძე-ჯაფარიძის კომპანიას ვადებიც არაერთგზის გაუხანგრძლივა და ჯამში 11 მილიონ დოლარზე მეტი პირგასამტეხლოც აპატია.**

**3. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას. ხაზარაძე-ჯაფარიძე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეედ თაღლითობაში. ხაზგასასმელია, რომ პარიზის არბიტრაჟს არ დაუყენებია ეჭვქვეშ მათ მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი დევნის კანონიერება. ყველას შევახსენებ, რომ ამ საქმეში ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს, ასე, ძველი მეგობრობით, „შემთხვევით" არსებული თავისუფალი 17 მილიონი აშშ დოლარი ასესხა ავთო წერეთელმა, რომელმაც შემთხვევით წინა დღეს ხაზარაძე-ჯაფარიძის განკი-**

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ...ფულზე პარიზის არბიტრაჟმა უთხრა უარი – ახლა ჯერი ხალხზეა!

# „რუსთაველის სამეცნიერო ფონდი“ ქართველოლოგიის წინააღმდეგ!

## (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფარვატერით)



# ბოროტი ცინიზმი

სვანური ფოლკლორის ერთი შედევრი დიდი ოსტატობით ხატავს უკუღმართი ვითარების ტრაგიკომიკურ სურათს:

ეს რა ვნახე საკვირველი:
ჭიანჭველა ციხეს აგებს!
კიდევ უფრო გაგაკვირვებ:
ვხედავ, მგელი ფარას მწყემსავს! და ა. შ.

მართლაც, კიდევ რით უნდა გააკვირვოს ბიუროკრატიამ ჩვენი მრავალჭირგამოვლილი სამეცნიერო საზოგადოება?! მაგრამ ყოველ ჯერზე, ყოველი ახალი ცინიკური გადაწყვეტილების შემდეგ, კიდევ უფრო მწარედ გვახსენებს თავს ქართველი ხალხის ეს უკვდავი სიბრძნე...

**დღეს, საბედნიეროდ, ჩალით აღარ არის დახურული ქვეყანა და მთელმა საქართველომ იცის, რომ ჩვენი ეროვნული მეცნიერების სახელმწიფო დაფინანსება მეათედიც არ არის იმისა, რასაც თანამედროვე ქვეყნის ნორმალური (ევროპული) განვითარება მოითხოვს; უკვე ბევრი დარწმუნდა იმაშიც, რომ სახელმწიფოს მშენებლობის არსებითად ყველა მიმართულებით წარმატების პირობას სწორედ შესაბამისი მეცნიერული ცოდნის მუდმივი თანხლება წარმოადგენს...**

მეცნიერების მწირი დაფინანსების კიდევ უფრო სავალალო მხარე ის არის, რომ ამ საბიუჯეტო სახსრების მეტი წილი არა კვალიფიციურ მეცნიერთა პროგრამულ დაფინანსებაზე, არამედ თავისუფალ **საგრანტო კონკურსებზე** მიდის და, უკვე ოცწლიანი გამოცდილებით, შედეგების ზედაპირული ანალიზიც ნათლად აჩვენებს, რომ ამ კონკურსებში გამარჯვებული პროექტების უმეტესობა წყალში გადაყრილ სახელმწიფო რესურსებს ნიშნავს.

კი ბატონო, ეს მახინჯი სისტემა წინა ხელისუფლების მუხანათური პოლიტიკის შედეგია. მაგრამ რაღა შეღავათია დღეს ამისი გახსენება, როდესაც წლები გადის და ეს სიმახინჯე სამინისტროებში მოკალათებული ბიუროკრატიისათვის (რომელიც ლომაიას დროიდან ჩაიფესვა სისტემაში) მოხერხებული მაქინაციების მოქნილ ბერკეტად იქცა!

**განა ბედის ირონია არ არის, რომ ამ სახელმწიფო სამეცნიერო ფონდს დიდი რუსთაველის სახელი ჰქვია, ხოლო ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის მეურვე ქართველოლოგიას კვლავაც სახვეწარი აქვს, რომ ამ დაფინანსების ათი პროცენტი მაინც ერგოს იმ საკონკურსო პროექტებს, რომლებიც ჩვენს უმდიდრეს ქართველოლოგიურ დარგებს (ისტორიას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ენას, ლიტერატურას, ხელოვნებისა და კულტურის სფეროებს...) წარმოადგენენ და რომელთაც, მეცნიერების სხვა დარგებისგან განსხვავებით, სხვა, გარე წყაროების იმედი ვერ ექნებათ...**

**განა ნორმალურია, რომ საქართველოში ქართველოლოგია ბერის მდგომარეობაში იყოს?!**

**განა ბოროტი ცინიზმი არ არის ის, რომ მიმდინარე წლის საკონფერენციო გრანტების კონკურსში მე-4 ქართველოლოგიურ კონგრესს, წარმოდგენილს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ, „რუსთაველის ფონდმა“ (ანუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომლის დაქვემდებარებაშიც მოქმედებს ეს ფონდი) დაფინანსებაზე უარი უთხრა, იმ კონგრესს, რომელში მონაწილეობის განაცხადიც უკვე ჰქონდა ჩვენი ქვეყნისა და კულტურის ჭეშმარიტ გულშემატკივარ 30-მდე კვალიფიციურ მეცნიერს, მსოფლიოს 20-მდე ქვეყნიდან. როგორ აუხსნას ბიუროკრატიის მიერ აგუჩად აგდებულმა ჩვენმა მეცნიერმა თავის უცხოელ კოლეგას ამ სავალალო კურიოზის შინაარსი?!**

– მაშ, ვის მიანიჭეს საკონკურსო უპირატესობა, თუ არა ქართველოლოგიურ კონგრესს?! – უთუოდ იკითხავს მკითხველი.

ვის და – პირველი ორი ადგილი დაიკავა ერთ-ერთი „ენჯეოს“ შემუშავებულმა „საკონფერენციო“ პროექტებმა: „ეკონომიკური განვითარება და სტრუქტურული ტრანსფორმაცია“ და „რეალპოლიტიკა 21-ე საუკუნეში! ეკონომიკაზე ორიენტირებული განათლების სისტემა“.

ჩვენთან ერთად, თქვენც ხომ დარწმუნებული ხართ, ძვირფასო მკითხველო, რომ ამ კონფერენციების გამართვისთანავე უმალ დავინახავთ ეკონომიკისა და განათლების „განვითარების“ აღმავლობას („რეალპოლიტიკაზე“ რომ აღარაფერი ვთქვათ)!

ხოლო რაც შეეხება აღნიშნულ გამარჯვებულ „ენჯეოს“, იგი გასული წლის დეკემბრის ბოლოს შექმნილა, ალბათ – ამგვარი სარფიანი მხარდაჭერის მოლოდინით!

გინდა გამჭვირვალობა დაარქვით ახლა ამას, ბატონებო, გინდა გაუმჭვირვალობა, საჯარო სამსახურებსა და „ენჯეო“ სექტორს შორის ინტერესთა კოორდინაცია სრულიად აშკარაა.

**კეთილინებონ ახლა აღნიშნულ უწყებათა ხელმძღვანელებმა, გამოიყვანონ ამგვარ საქმეებში ჭიამოჭრილი რუსთაველის ფონდის ე.წ. ექსპერტები, განათლების სამინისტროს მიერ გარანტირებულ კონფიდენციალობის ფარდას რომ ამოჰფარებიან და სახელმწიფო ბიუჯეტის შემქმნელი ქართველი საზოგადოების წინაშე ნათლად განმარტონ:**

**რა ნიშნით ამჯობინეს „ენჯეოს“ მიერ შემოთავაზებული „სტრუქტურული ტრანსფორმაცია“ და „რეალპოლიტიკა“ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ წარმოდგენილ, უკვე ტრადიციულ, მე-4 ქართველოლოგიურ კონგრესს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს უნდა სწვეოდნენ სახელოვანი მკვლევრები ჩვენი ენისა, ისტორიისა და კულტურისა, ნამდვილი გულშემატკივრები ჩვენი ქვეყნისა (ალექსანდრო ბრუნი, სტეფან რაპი, ჰიროტაკე მაედა, მანფრედ ნავროთი, ნიკოლაე დურა, კარინა ვამლინგი, ლუდმილა ჰრიციკი, სტანისლავ ტუმისი და სხვანი)!**

საჯარო სტრუქტურებში მოკალათებული ასეთი მედროვენი, რომელნიც ფლუგერივით ესადაგებიან პოლიტიკური ამინდის ცვალებადობას და ზოგჯერ მიზანმიმართულადაც კი უტეხენ სახელს სახელმწიფოს პრესტიჟსა და ქმედუნარიანობას, ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიან ჩვენი ქვეყნის ნორმალურ, ცივილიზებულ განვითარებას. შეუძლებელია მათ სწორად გაიგონ ის ღირსეული თავშეკავება, რომელსაც არაერთი წელია საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება ინარჩუნებს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესების მოფრთხილებით და დაფასებით. დიახ, არსებობს ასეთი „ღირსეული დათმენა“, რომელსაც ასეთივე ღირსეული დანახვა და შეფასება სჭირდება...

სხვაგვარად, როგორც იმ სვანურ ლექსშია, **მგლები ცხვარს კვლავაც ისე „დამწყემსავენ“, როგორც მტერს გაუხარდება!..**

და იმ მგლებს სამინისტროს დამღა ექნებათ შუბლზე.



**ავთანდილ არაბული,**
აკადემიკოსი,
კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი

# დიმიტრი ხუნდაძე: სხვას ორმოს ნუ უთხრი, თორემ თავად აღმოჩნდები ამ ორმოში!

**„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი დიმიტრი ხუნდაძე ქართულ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებს სოციალურ ქსელში ეხმაურება.**



როგორც დიმიტრი ხუნდაძე წერს, ოპოზიციამ უნდა გაიხსენოს გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც სხვისთვის ორმოს მთხრელი თავადვე აღმოჩნდება ამ ორმოში და შეწყვიტოს ქვეყნისთვის დამაზიანებელი ნაბიჯების გადადგმა.

– ოპოზიცია თანდათან სულს ღაფავს, რადგან საკუთარ ნაღმებზე ფეთქდება. მიშას აწამებენო და საერთაშორისო სასამართლომ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები კანონიერად მიიჩნია. კანდიდატის სტატუსს „ქართული ოცნების” გამო არ მოგვცემენო და სტატუსიც მოგვცეს და თავადვე ამხილეს საკუთარი ლიდერები, თუ როგორ ითხოვდნენ დასავლეთში, რომ საქართველოსთვის სტატუსი არ მიენიჭებინათ. რუსეთიდან ფრენების აღდგენა ქვეყნის ღალატად გაასაღეს და დღეს თავად უჭერენ ამ გადაწყვეტილებას მხარს. სანქციებთან საქართველოს მიერთებას კატეგორიულად ითხოვდნენ და დღეს ესეც თავად უარყვეს. ანაკლიის პორტის მშენებლობის შეფერხება ხელისუფლებას დააბრალეს, საარბიტრაჟოში იჩივლეს და ორი მილიარდი დოლარის კომპენსაცია მოსთხოვეს საქართველოს.

შედეგი აქაც მათ საწინააღმდეგოდ დადგა. დადგინდა, რომ ხელისუფლებას არც ირიბად და არც პირდაპირ მათთვის ხელი არ შეუშლია და 650.000 აშშ დოლარის გადახდა იქით დაეკისრათ. იქნებ ამ უსამშობლოებმა გაიხსენონ, რომ ნათქვამია: სხვას ორმოს ნუ უთხრი, თორემ თავად აღმოჩნდები ამ ორმოში!..

# 2020 წელსაც „ოცნების“ წაგება და კოალიციური მთავრობა იწინასწარმეტყველა

**Edison Research-ის კვლევის თანახმად, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, გამოკითხულთა უმრავლესობა, 32.4% ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდა, ხოლო 17.3% – „ნაციონალურ მოძრაობა/სტრატეგია აღმაშენებელს“. ამასთან, 12.8% „ძლიერი საქართველო: ლელო/ხალხისთვის/თავისუფლების მოედანს“ აქვს და 11.2 % „საქართველოსთვის – გიორგი გახარიას“ პარტიას.**

პოლიტიკოსთა და ანალიტიკოსთა ერთი ნაწილი სრულ უნდობლობას უცხადებს კვლევით ორგანიზაციას. მიიჩნევა, რომ დამკვეთი ოპოზიციური ტელევიზიაა, რომლის მიზანია საზოგადოებრივი განწყობები სოციოლოგიური გამოკვლევების მეშვეობით შექმნას. თუმცა, მეორე ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული კვლევა მეტ-ნაკლებად ასახავს იმ რეალობას, რაც დღეს გვაქვს და „ქართულ ოცნებას“ 35%-ზე მეტის აღების პერსპექტივა დღეს არ აქვს, რაც კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებლობას ქმნის.

ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** ამბობს, რომ მმართველ



პოლიტიკურ გუნდს იმდენად დაბალი რეიტინგი აქვს, ის შესაძლოა ტოტალურ გაყალბებაზე წავიდეს. მისი თქმით, ამ შემთხვევაში, შედეგად მივიღებთ მასობრივ გამოსვლებს და ამასთან, არ გამორიცხავს, საპასუხოდ „ქართულმა ოცნებამ“ რადიკალური ნაბიჯებიც კი გადადგას.

**„Edison Research-ი მსოფლიო დონის კვლევის ორგანიზაციაა, მას მაღალი რეპუტაცია აქვს და სანდოა. მათი დასკვნა ახლოს არის სიმართლესთან – ეჭვი არ მეპარება, რომ „ქართულ ოცნებას“ 35%-ზე მეტი არ აქვს, რაც ბუნებრივია. ეს არის მისთვის განაჩენი. დანარჩენების ჯამი აღემატება „ქართული ოცნების“ მაჩვენებელს და ეს არის ზარი „ქართული ოცნებისთვის“ – არც ერთი ეს პარტია არ მოიაზრება მის მოკავშირედ.**

**შანსი იმისა, რომ პოლონური ვარიანტი გათამაშდეს, საკმაოდ მაღალია. ვიცით, რომ პოლონეთში პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ წააგო, რადგან დანარჩენმა პარტიებმა შეკრეს ერთობა და შექმნეს მთავრობა - სწორედ ამის ეშინია „ქართულ ოცნებას“. მას რჩება ერთადერთი რამ - ტოტალური გაყალბება, რაც თვალშისაცემი იქნება. ამიტომ, ქუჩაში გამოსვლის საფუძველი არსებობს. ჯერ სისხლი არ დაუღვრია „ქართულ ოცნებას“ და წავა თუ არა ამაზე იმისთვის, რომ ხალხის აღშფოთება გააჩეროს?! – თუკი ამაზე წავა, ეს მას კიდევ უფრო ძვირად დაუჯდება.**

ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა „ქართული ოცნება“. იმის ნაცვლად, რომ თავის დროზე საზოგადოებისთვის დაეთმო და არ მიეღო ეს კანონი, რითაც მან უარი უთხრა დასავლეთს, ევროპა და ამერიკა გამოაცხადა მტრებად, საბოლოოდ ჩაერთო რუსულ კამპანიაში. საზოგადოებას არ უნდა რუსეთი და „ქართული ოცნება“ დროზე უნდა მოეგოს გონს, გამოიტანოს კანონი, ბოდიში მოიხადოს და წავიდეს პატიოსან არჩევნებზე“, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ყოფილი მინისტრი ფიქრობს, რომ არსებობს შანსი, არჩევნების მეორე დღეს პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს და ადამიანის სისხლიც კი დაიღვაროს, თუკი „ქართული ოცნება“ ამაზე წავა, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით.

**„ველოდები, რომ 27 ოქტომბერს „ქართული ოცნება“ აღიარებს დამარცხებას და ამით ყველაფერი დაწყნარდება – ეს იქნება ყველაზე გონივრული ვარიანტი. შევარდნაძის და სააკაშვილის მაგალითები უნდა იყოს „ოცნებისთვის“ მაგალითი, რომ ქართველი ხალხი ამას არ აპატიებს არავის. თუ ბოლმას და ღვარძლს ვერ გადალახავენ „ქართულ ოცნებაში“, მაშინ ისინი წავლენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ – საზოგადოება გამოვა ქუჩაში და იქ გადავა დაპირისპირება, რის შედეგადაც, შეიძლება „ქართულ ოცნებას“ ნერვებმა უმტყუნოს. იარაღი და პოლიცია მათ ხელშია და თუ ადამიანის სისხლი დაღვარეს, თუ მსხვერპლი მოიტანა ამ დაპირისპირებამ, სიტუაციას ვეღარავინ გააკონტროლებს. ასიათასობით ადამიანი, რომელიც მშვიდობიანად დადიოდა ქუჩაში, ამ ადამიანების მასა უკვე სხვანაირად მოიქცევა. ამიტომ, „ქართულ ოცნებას“ მოვუწოდებ გონიერებისკენ!“ –** დასძენს პაატა ზაქარეიშვილი.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** თვლის,



რომ **Edison Research-ი** დიდი ნდობითა და რეპუტაციით არ სარგებლობს. მსგავსი ტიპის კვლევები გამოიყენება იმისთვის, რომ საზოგადოებაში გარკვეული განწყობები შექმნას და ოპოზიციას, წაგების შემთხვევაში, მისცეს საბაბი შედეგი გააპროტესტოს.



**„როდესაც თავად კვლევას ვაფასებთ, აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ამ კვლევის დამკვეთი და რა ინტერესები შეიძლება იდგეს ამის უკან. დამკვეთი კი არის ყველასთვის ცნობილი ტელევიზია – ოპოზიციური და პარტიული. ამიტომ, არ გამიკვირდება შედეგი იყოს მოდელირებული. გარდა ამისა, ეს შედეგები ძალიან ემთხვევა იმ გამოკითხვას, რომელიც მანამდე სოროსის ფონდის ადგილობრივი ფილიალის დაფინანსებით ჩაატარა ერთ-ერთმა ქართულმა ორგანიზაციამ, რომლის მონაცემებიც გასაჯაროვდა.**

**ამის უკან ვხედავ ორკესტრირებულ მცდელობას, რომ სოციოლოგიაც ჩაბან ამ პოლიტიკური ბრძოლის პროცესში. სოციოლოგიის მეშვეობით ხდება გარკვეული მანიპულაციური ზემოქმედება საზოგადოების აზრზე კონკრეტული პოლიტიკური ძალების მხრიდან, რომ საზოგადოებრივი აზრი წარმართონ მათთვის სასურველ კალაპოტში. ვფიქრობ, რომ ეს კვლევა მაინცდამაინც დიდ ნდობას არ იმსახურებს. გარკვეული ძალები ცდილობენ საზოგადოებას შთააგონონ ის ნარატივი, რომ კოალიციური მთავრობის ფორმირება გარდაუვალია და ასევე, „ქართული ოცნება“ ვერ იღებს უმრავლესობას, ხოლო ოპოზიციის ჯამური მონაცემები აღემატება „ქართული ოცნებისას“.**

**ეს არის ის პოზიცია, რომელიც ჩვენს დასავლელ პარტნიორებს გამოუთქვამთ, რომ ისინი ამ არჩევნებისგან ელიან პროდასავლური, კოალიციური მთავრობის და მრავალპარტიული პარლამენტის ჩამოყალიბებას. სოციოლოგიური გამოკითხვების საშუალებით სურთ ჩამოაყალიბონ საზოგადოებრივი აზრი და შემდეგ, თუკი არჩევნებზე განსხვავებული შედეგი დაიდო და გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“, ოპოზიციას მიეცეს პროტესტის საბაბი, რომ სოციოლოგიურ გამოკითხვებში სხვა შედეგებია და არჩევნები გაყალბდა. ეს კვლევები შემონახული აქვთ, როგორც ერთგვარი ინსტრუმენტი შესაძლო საპროტესტო გამოსვლებისთვის“,** – განაცხადა ანჯაფარიძემ.

მისი შეფასებით, რამდენიმე სცენარი შეიძლება განვიხილოთ, თუ რა შეიძლება მოხდეს 27 ოქტომბერს. ანჯაფარიძე არ გამორიცხავს, რომ გიორგი გახარიას პარტიამ „ქართულ ოცნებას“ კოალიცია შეუქმნას იმ შემთხვევაში, თუკი მმართველმა პოლიტიკურმა გუნდმა 51% ვერ აიღო.

**„არჩევნების მეორე დღეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ განლაგდება ხმები. თუ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, მაგრამ პარლამენტში შევიდა რამდენიმე ოპოზიციური პარტია, შესაძლოა ისინი ამ მონაცემებს დასჯერდნენ და მათთვის საკმარისი აღმოჩნდეს ის, რომ იყვნენ პარლამენტში წარმოდგენილი. იხმაურონ გარკვეული პერიოდი და შექმნან ანტურაჟი, როგორც ეს 2020 წელს მოხდა – შემდეგ შევიდნენ პარლამენტში და გააგრძელონ მუშაობა.**

**მეორე ვარიანტი არის ის, რომ წავიდნენ რადიკალურ სცენარზე, არ ცნონ არჩევნების შედეგები და შეეცადონ, ფერადი რევოლუციის მეშვეობით ხელისუფლების შეცვლა. თუ ეს არჩევნები დასავლეთმა ცნო დათქმებით, როგორც ეს 2020 წელს მოხდა, მიუხედავად მინიმალური დარღვევისა, ამ შემთხვევაში, ცოტაოდენი ხმაურის შემდეგ, ოპოზიცია ალბათ შეეგუება ამ მოცემულობას.**

**არსებობს კიდევ ერთი სცენარი: იმ შემთხვევაში თუ „ქართულმა ოცნებამ“ ვერ აიღო 51%, ამავე დროს ვერც ოპოზიციამ დააგროვა საკმარისი ხმა მთავრობის ფორმირებისთვის, დადგება საკითხი, რომ მათ ერთმანეთში იპოვონ საერთო ენა და ჩამოაყალიბონ კოალიციური მთავრობა. იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ბრიუსელის დეკლარაციას, პირობა აქვთ დადებული, რომ არც ერთ შემთხვევაში არ შეუქმნიან კოალიციას „ქართულ ოცნებას“. თუმცა, ამ დეკლარაციაზე ხელი არ აქვს მოწერილი გიორგი გახარიას პარტიას. აქ უკვე შესაძლებელია დავუშვათ ვარიანტი, რომ ისინი წავიდნენ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციური მთავრობის შექმნაზე, მიუხედავად იმისა, თუ რა განცხადებებს აკეთებენ ახლა, რომ არ შეუქმნიან კოალიციას და არ ითანამშრომლებენ. ჩვენ გვახსოვს ამ პარტიის ისტორიიდან, მათ არაერთხელ გადაუხვევიათ საკუთარი განცხადებებისგან. გახარია „ნაციონალურ მოძრაობას“ დასრულებას ჰპირდებოდა და შემდეგ მასთან ალიანსები გააფორმა საკუთარი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე. სად არის იმის გარანტია, რომ იმავეს არ გააკეთებენ ახლაც და შემდეგ ამას გაამართლებენ იმით, რომ ამით ისინი სახელმწიფოს ააცილეს ტურბულენტური გარემო, რევოლუციური სცენარი, არეულობა, დესტაბილიზაცია და ა.შ.“,** – აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ.

მოამზადა
**ნიკო ჩოხელმა.**

---

# ხაზარაძე ხალხს ხმას და 1,5 მილიარდ აშშ დოლარს სთხოვდა...

მეორე გვერდიდან

**დან მიიღო ეს თანხა; და ასევე შემთხვევით ისე აღმოჩნდა, რომ ეს 17 მილიონი აშშ დოლარი საბოლოოდ უიმედო ვალად გაფორმდა და არასდროს დაბრუნებია ბანკს.**

პარიზის არბიტრაჟის გადაწყვეტილება კიდევ ერთი რგოლია სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებსაც ნაციონალური მოძრაობა მუდმივად აგებს, რადგან საკუთარი ქვეყნისა და სიმართლის წინააღმდეგ მოქმედებს.

ყველას გვახსოვს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში წარმოებული საქმეები, რომლებიც ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე უამრავჯერ წააგო – „რუსთავი 2“-ის, მელიას, გვარამიას, სააკაშვილის, დემონსტრაციების კანონიერად დაშლის თუ სხვა საქმეები.

ყოველ ჯერზე დასტურდება, რომ ქართული სახელმწიფო, მისი მმართველობა და მართლმსაჯულება, საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებით მოქმედებს; ასევე ყოველ ჯერზე დასტურდება, რომ ქართველებს და უცხოელებს, რომლებიც თავს ესხმიან ქართულ სახელმწიფოს და მართლმსაჯულებას, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის დაზიანების ინტერესი ამოძრავებთ.



საბოლოოდ გაირკვა, თუ რეალურად რა იყო ხაზარაძე-ჯაფარიძის პოლიტიკაში მოსვლის მიზეზი, პარტია „ლელოს“ შექმნის საფუძველი და, სულ ახლახან, სხვა წვრილ პარტიებთან და არასამთვრობო სექტორის ფსევდოპოლიტიკოსებთან გაერთიანების ნამდვილი არსი – აშკარაა, რომ ეს იყო ფინანსური მაქინაციების, ბიუჯეტიდან ფულის მიღების და ხალხის ხარჯზე კიდევ უფრო გამდიდრებისთვის პოლიტიკური ანტურაჟის შექმნა.

საბედნიეროდ, ყველაფერი უფრო ადრე გამოააშკარავდა, ვიდრე ხაზარაძე-ჯაფარიძე ოქტომბრის არჩევნებამდე ხალხის ნაწილის მოტყუებას კიდევ ერთხელ შეძლებდნენ.

**„ლელოც“ და მისი გაერთიანებაც ისეთივე სიყალბეა, როგორი სიყალბეც აღმოჩნდა ხაზარაძის მიერ წლების განმავლობაში შექმნილი მითი ანაკლიის კონსორციუმის სახელმწიფოს მიერ შევიწროების შესახებ.**

**ფაქტია, რომ ხაზარაძე ხალხს ხმას და 1,5 მილიარდ აშშ დოლარს სთხოვდა. ფულზე პარიზის არბიტრაჟმა უთხრა უარი. ახლა ჯერი ხალხზეა!“**

SOS!

საქართველოს რესპუბლიკა

# ქურდია თუ რექტორია?

## აი, რატომ არის დამნაშავე გ. ხუბუა



**გიორგი ხუბუა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გამოჩნდა... ამ ფაქტს თითქმის ერთსულოვანი შეფასება მოჰყვა: „გ. ხუბუა დამნაშავეა!..“ „გ. ხუბუა ციხეში უნდა იჯდეს!..“ „გ. ხუბუა სასჯელს უნდა იხდიდეს!..“ ჩვენც ასე ვფიქრობთ და შევეცდებით, ფაქტებით ვაჩვენო, რატომ არის დამნაშავე გ. ხუბუა და რატომ არა აქვს მას უფლება ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში თავაწეული სიარულისა.**

**გ. ხუბუა იყო მთავარი შემსრულებელი ლომაია-სააკაშვილისეული „რეფორმისა“, რამაც დაანგრია საუნივერსიტეტო სისტემა...**

რა მოხდა 2005-2006 წლებში და რატომ დასჭირდა იმდროინდელ ხელისუფლებას ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად გ. ხუბუას მოყვანა? შევეცდები, მოკლედ ვისაუბრო უმთავრეს მომენტებზე (ვრცლად შეგიძლიათ გაეცნოთ წიგნში „დედაუნივერსიტეტის ძნელბედობის ჟამი (2004-2013), თბილისი, 2016, 316 გვ.).

2003 წელს მოსული ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდა.

**მიზეზი:** უნივერსიტეტი იყო ის ძალა, რომელსაც შესწევდა საზოგადოებაზე ზემოქმედების დიდი უნარი (გავიხსენოთ – 1953 წლის მარტი; 1978 წლის აპრილი; ოთხმოციანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის აღმავლობა...)

**„რევოლუციონერებმა“ მიზნად დაისახეს** ამ ძალის განეიტრალება, რომ ხელისუფლებას „თავის ჭკუაზე“ ემართა საზოგადოება...

ამისათვის მზადება „რევოლუციამდე“ დაიწყეს „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და სოროსის ფონდში (ეს მერე მათგან წამოსულმა დ. ზურაბიშვილმა „გაამხილა“)...

უნივერსიტეტის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება გაამწვავა უმაღლესი განათლების კანონპროექტის განხილვამ:

2004 წელს ეს კანონპროექტი შეიტანეს პარლამენტში, მაგრამ მის საჯარო განხილვას არ აპირებდნენ; თსუ რექტორმა, ბატონმა **როინ მეტრეველმა** გამოითხოვა გასაცნობად და უარი ვერ უთხრეს...

2004 წლის 27 სექტემბერს უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ განიხილა კანონპროექტი... სამ საათზე მეტხანს გაგრძელდა მსჯელობა. აზრი საერთო იყო; დასკვნა პარლამენტს გაეგზავნა: **ამგვარი კანონი უმაღლეს განათლებას სიკეთეს არ მოუტანს. კანონპროექტი საკმაოდ დაუხვეწავია და არა აქვს იმგვარი სახე, რომ მისი კანონად ქცევა შეიძლებოდეს.**

მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ **მიხეილ სააკაშვილს;** მოვახსენეთ ჩვენეული შენიშვნები; უარყოფითად შევაფასეთ ეს კანონპროექტი და ვთხოვეთ: **„მოგმართავთ თხოვნით, არ დაუშვათ წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვა, უზრუნველყოთ განათლებისა და მეცნიერების განვითარების ეროვნულ ტრადიციებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული კონცეფციის შემუშავება პროფესიონალთა მიერ და მისი საჯარო განიხლვა, იმ ანგარიშით, რომ სწორედ ასეთი წესით მიღებულ, შეჯერებულ კონცეფციას დაეფუძნოს მთელი შემდგომი კანონშემოქმედებითი საქმიანობა“.** მიმართვა გამოქვეყნდა პრესაშიც.

გაბოროტებული პრეზიდენტი ზემოიმერეთიდან (ცხრუკვეთიდან) დაგვემუქრა „წითელ პროფესორებსა“ და „რეფორმის მტრებს“...

უნივერსიტეტის ქმედებით აღშფოთებული მინისტრი **კ. ლომაია** აკეთებს კომენტარს ტელევიზიით. აცხადებს, რომ უნივერსიტეტი რეფორმის წინააღმდეგია; რომ „უნივერსიტეტელები არიან კორუმპირებულები“; „არ ეთმობათ მისაღები გამოცდები და ამიტომ არ ეთანხმებიან წარმოდგენილ კანონპროექტს“. „ჩვენ ამ უსინდისო და უნამუსო ადამიანებს არ დავუბრუნებთ ფულის შოვნის ამ ხერხსო“, – ეს ამონარიდებია მინისტრის (კ. ლომაიას) განცხადებიდან.

სასწრაფო დავალება მიიღეს განათლების სამინისტროს მაღალჩინოსნებმა: **გიგი თევზაძემ და რატი ამაღლობელმა.** ისინი და სამინისტროს აქტიური მხარდამჭერი ლიტერატორები – ლ. ბუღაძე, ზ. სამადაშვილი, ლ. ბაქრაძე და სხვები – შეიკრიბნენ მ. კოსტავას ქუჩაზე ლიტერატურულ კაფეში, რათა დაეგმოთ უნივერსიტეტის „ანტისახელმწიფოებრივი“ მოქმედება. სატელევიზიო ინტერვიუში გ. თევზაძემ განაცხადა: „სამინისტრო კორუმპირებულ უნივერსიტეტთან არ ითანამშრომლებსო“...

და... ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება: **რექტორმა როინ მეტრეველმა უნდა დატოვოს თანამდებობა...** რექტორად „მათი კაცი“ უნდა ყოფილიყო...

მოვლენები განვითარდა ელვის უსწრაფესად:

**ორშაბათს,** 2004 წლის 27 სექტემბერს განვიხილეთ კანონპროექტი...

**ოთხშაბათს,** 2004 წლის 29 სექტემბერს პროფ. რ. ლორთქიფანიძე იტალიიდან ჩამოიყვანეს თბილისში:

**ხუთშაბათს,** 30 სექტემბერს, ქალბატონი რუსუდანი დანიშნეს თსუ პრორექტორად;

**პარასკევს,** 1 ოქტომბერს, საგანგებო საბჭოს სხდომაზე **ბატონი რ. მეტრეველი გადადგა...**

**ხელისუფლება განაგრძობს უნივერსიტეტის „ჭკუაზე მოყვანას“:**

ლომაიამ მოისურვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრა; „კმარას“ აქტივისტთა მიერ ორგანიზებული შეხვედრა წარუმატებელი აღმოჩნდა მისთვის: მინისტრი ცდილობდა, დაერწმუნებინა სტუდენტები, რომ მათი ლექტორ-მასწავლებლები წინააღმდეგნი იყვნენ რეფორმისა, ისინი კორუმპირებულები არიან (როგორც წესი, მის საუბარში მისთვის ჩვეულმა ლექსიკურმა ერთეულებმაც გაიჟღერა – „უნამუსო“, „უსირცხვილო“, „უვიცი“); მოკლედ, მინისტრი მოუწოდებდა სტუდენტებს, „დაგმეთ თქვენი აღმზრდელები და ბედსა გწევთო“...

არ მიიღეს სტუდენტებმა მინისტრი... დარბაზი დაატოვებინეს...

ხელისუფლების დამოკიდებულება უარესდება დედაუნივერსტეტისდმი...

მინისტრი საჯაროდ დაგვემუქრა: **„ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვძირკვავო“** და დაიწყო...

**პირველი სერიოზული დარტყმა** იყო 2005 წლიდან უნივერსიტეტის სამეცნიერო სექტორისათვის დაფინანსების შეწყვეტა. შედეგად: **უმუშევარი დარჩა 1500 უნივერსიტეტელი... დაიხურა ყველა სამეცნიერო კაბინეტ-ლაბორატორია...**

ეს პროცესები აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ **ივანე ჯავახიშვილის „მესამე სიკვდილად“** შეაფასა...

**ლომაია ემზადება მეორე** და გადამწყვეტი დარტყმისათვის: **აკადემიური სექტორის გასანადგურებლად.** გადაწყდა, უნივერსიტეტში აკადემიური თანადმებობების დასაკავებლად კონკურსები გამოცხადებულიყო. (მალე აქ დასჭირდება კ. ლომაიას გ. ხუბუას დახმარება).

კონკურსები იყო ყველაზე რთული საკითხი (ყველაზე მძიმე დანაშაული ხუბუასი), ამიტომ ცოტა ვრცლად მოგვიწევს საუბარი:

კონკურსების გამოცხადება იმჟამად იქნებოდა მათ მიერვე მიღებული კანონის დარღვევა. აი, რატომ:

კანონის (89-ე მუხლის) მიხედვით **კონკურსი** ოთხეტაპიანი პროცესის ბოლო საფეხურია:

**პირველ ეტაპზე** – 89-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად უნდა მოხდეს იმჟამად მოქმედ პროფესორ-მასწავლებელთა **ავტომატური გადაყვანა** კანონით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე;

**II ეტაპზე** – „გადაყვანის“ შემდეგ უნდა ჩატარდეს აკადემიური და წარმომადგენლობითი **საბჭოების არჩევნები** მოქმედ თანამშრომელთაგან (მუხლი 87. პუნქტი 3).

**III ეტაპზე** –მოქმედ თანამშრომელთაგან არჩეული აკადემიური საბჭო განსაზღვრავს **კონკურსის წესს** და ამტკიცებს წარმომადგენლობით საბჭოს“ (მუხლი 34. პუნქტი 3).

**IV ეტაპზე** – უნდა გამოცხადდეს კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად (მუხლი 34. პუნქტი 1).

ანუ: კანონის შესაბამისად **მოქმედი აკადემიური კონტინგენტის** გადაყვანა მოხდება ახალ ნომენკლატურაზე, ისინი აირჩევენ საბჭოებს და მერე ჩატარდება კონკურსი... ეს ხელს არ აძლევს ლომაიას: მას სურს, მოქმედი აკადემიური კონტინგენტი ჯერ ჩაანაცვლოს ახლით (მათი მხარდამჭერებით) და მერე მათგან აირჩიონ საბჭოები...

თუ კონკურსი გაიმართება ამჟამად (წინა საფეხურების გამოტოვებით) კონკურსს ვერ ჩაატარებს მოქმედი კონტინგეტი; ტარდება გარედან, სამინისტროს ხელმძღვანელობით...

და **რაც მთავარია,** ოთხ ფაკულტეტზე (ორზე ადრე ჩატარდა კონკურსი) **3500 აკადემიური თანამდებობა** იყო; ლომაიამ მოითხოვა **კონკურსი 700 ადგილზე გამოცხადებულიყო...** ეს ნიშნავდა ამ ფაკულტეტებზე **პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობის 5-ჯერ შემცირებას!..**

ამით ლომაიას დანაქადნები შესრულდებოდა: **1500 მეცნიერ-მუშაკს მიემატება 2700 პროფესორ მასწავლებელი...** ეს კატასტროფა იქნებოდა...

მინისტრის დავალებას რექტორი **რუსუდან ლორთქიფანიძე** პრინციპულად არ ასრულებს! ქალბატონმა რუსუდანმა 2005 წლის ნოემბრიდან 2006 წლის აპრილამდე შეძლო, შეეჩერებინა ეს ბარბაროსული გეგმა

**აი, აქ მოიხმო მშველელად ლომაიამ გ. ხუბუა კაცი შემსრულებელი ყოველგვარი უკანონო, ბინძური დავალებისა.**

2006 წლის აპრილში ლომაია ათავისუფლებს მივლინებაში მყოფ ქ-ნ რუსუდანს და ნიშნავს ხუბუას.

**ხუბუამ დაიწყო მზადება კანონდარღვევით კონურსების ჩასატარებლად.**

იურისტმა ხუბუამ იცის, რომ კანონი დაირღვევა და განადგურდება უნივერსიტეტი.

### გ. ხუბუა დამნაშავეა და სასჯელს უნდა იხდიდეს ამ დანაშაულთა გამო:

– **გამიზნული კანონდარღვევა** თავისთავად **სერიოზული დანაშაულია...**

– **2700 საშტატო ერთეულის გაუქმება** უკანონოდ, მინისტრის პირადი სიამოვნებისთვის, **უმძიმესი დანაშაულია;**

და მრავალი **„წვრილმანი“ დანაშაულობანი:**

– ლომაიას დავალებით ხუბუამ პირველივე ბრძანებით ქართული ენის ინსტიტუტი გააუქმა (ოპონენტების ა. არაბულისა და გ. გოგოლაშვილის დასასჯელად) (ასე „დასაჯა“ ლომაიამ ლ. ღვინჯილია ენის პალატის გაუქმებით);

– გ. შარაძის დაპატიმრება ორი კვირით სხვათა დასაშინებლად...

– 9 პროფესორის გასამართლება მისი საქმიანობისადმი პროტესტის გამოხატვის გამო;

– სასამართლოს გადაწყვეტილების (კონკურსების უკანონობაზე) არშესრულება;

– პროფესორ-მასწავლებელთა სააქტო დარბაზში ჩაკეტვა (უკანანონოდ თავისუფლების აღკვეთა); წყლისა და სველი წერტილების გადაკეტვა;

– საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიცემული პირობის გატეხვა;

– დანაშაულებრივი საკადრო პოლიტიკა (ნეპოტიზმი).

**და ასევე უმძიმესი:** უნივერსიტეტში პოლიციის შემოყვანა (19 და 20 ივნისს; 3 ივლისს) და ხელგადაგრეხილი პროფესორების გარეთ გაყრა ეს უკანასკნელი იმდენადაა სამარცხვინო, რამდენადაც საუნივერსიტეტო სივრცეში ამგვარი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა: 1939 წელს ფაშისტებმა ხელგადაგრეხილი პროფესორები გამოყარეს გარეთ კრაკოვის უნივერსიტეტიდან ხუბუას ეს არ აწუხებს მთელი ზაფხული პოლიციური რეჟიმი იყო უნივერსიტეტში...

– ტყუილი რომ ჩვევად ექცა ხუბუას, ეს მორალის საქმეა.

უნივერსიტეტს მართავდა ამგვარი სამართლებრივი აზროვნების კაცი ამგვარი ზნეობის პიროვნება:

(ამონარიდს მოვიყვან ხუბუას წიგნიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა სტატუსი და სწავლება“; თავს ჰქვია **„ხელისუფლებისადმი ლოიალობა“):**

**„ხელისუფლებისადმი ლოიალობა უნდა განისაზღვროს ზემდგომი უფროსისადმი. ერთგულების მოთხოვნაც პერსონალური ერთგულების გამოვლინების ერთ-ერთი ფორმაა; მაგალითად, ზემდგომი თანამდებობის პირისადმი მორჩილების ვალდებულება. მორჩილების ვალდებულება გულისხმობს, რომ უნდა შესრულდეს ზემდგომი თანამდებობის პირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო მითითებებიც“...**

ქართული რომ არ იცის ხუბუამ, ამჯერად ამას ნუ მივაქცევთ ყურადღება (ვიმოწმებ გაზეთიდან „ქრონიკა“, N 9, 2007).

და ასრულებდა „პირნათლად“ იურისტი ხუბუა ხელისუფლების კანონსაწინააღმდეგო დავალებებს; გვინგრევდა მონდომებით დედაუნივერსიტეტს...

იმ ხელისუფლებამ აკეთებინა ხუბუას ბინძური საქმეები, მერე რექტორის თანამდებობა ა. კვიტაშვილისთვის დასჭირდათ და ხუბუა მოისროლეს. არ ეთმობოდა „ჯავახიშვილის სავარძელი“ დამნაშავე ხუბუას და არ წავალო, უთხრა „პატრონს“ და ტელევიზიით არაერთგზის გადაიცა **პროკურატურის ინფორმაცია:**

**ხუბუას** კავშირი ჰქონდაო ბიბლიოთეკიდან უნიკალური წიგნების მოპარვის საქმესთან;

უნივერსიტეტში არასწორად ჩაატარა ტენდერები (კომპანიამ ტენდერში გამარჯვების სანაცვლოდ ხუბუას აგარაკზე ნავდარაანთკარში გაზი გაუყვანესო) და სხვა...

მოკლედ: თუ არ წახვალ, დაგიჭერთო და წავიდა... პროკურატურაში საქმე „შეწყდა“... ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ხუბუამ უტიფრად ნაცმოძრაობისგან დევნილად გამოაცხადა თავი...

რამდენიმე დღის წინათ გ. ხუბუა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს...

2012 წელს მოსული ხელისუფლება დაგვპირდა სამართლიანობის აღდგენასა და დამნაშავეთა დასჯას...

## ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავეთა დასჯას გვპირდებოდა!..



**გიორგი გოგოლაშვილი**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## რატომ საუბრობენ შანტაჟის ენით, რატომ უნდა გადაიხადოს ხაზარაძემ ნახევარ მილიონ ევროზე მეტი ქართველი ხალხის სასარგებლოდ და როგორ ალვიდგინოთ ჩვენი ტრადიციული ფუნქცია...

მეორე გვერდიდან

### ვინც არ დაემორჩილება „გამჭვირვალობის შესახებ" კანონს, დაეკისრება 25 000-ლარიანი ჯარიმა...

**გამჭვირვალობის** შესახებ კანონით ძალიან რბილი ზომებია გათვალისწინებული; ერთადერთი ზომა არის 25 000-ლარიანი ჯარიმა, პრემიერმა ჟურნალისტებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხად განუცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, აქ სპეკულაციების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ჯარიმის გარდა სხვა რისკი არც ერთ ორგანიზაციას არ შეექმნება.

### ხაზარაძეს ბევრად მეტის გადახდა ეკუთვნის ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ...

**„მგონია**, რომ ხაზარაძეს წესით, ბევრად მეტი ჯარიმის გადახდა ეკუთვნის, გამომდინარე იქიდან, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში, ტყუილს ამტკიცებდა, ავრცელებდა და საბოლოო ჯამში, ეს დაადგინა არბიტრაჟმა, გარკვეული ზიანი ხომ მიადგა ამ ტყუილის გავრცელებით ჩვენს სახელმწიფოს. წესით, ხაზარაძეს ბევრად მეტის გადახდა ეკუთვნის ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ, თუმცა არსებობს გადაწყვეტილებები, ჩვენ ვმოქმედებთ სასამართლოს გადაწყვეტილებების, არბიტრაჟის გადაწყვეტილებების შესაბამისად და ხაზარაძე გადაიხდის იმ ჯარიმას, რომელიც მას დაეკისრა. მოსარჩელე იყო ხაზარაძე, ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ ის დააზიანა და არბიტრაჟმა თქვა, რომ ეს იყო ტყუილი. ეს ნიშნავს იმას, რომ ხაზარაძე სამარცხვინოდ დამარცხდა ამ საქმეში.", – განაცხადა პრემიერმა.

# რუსთაველთათვის მთავარი მიმართულება, თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაა...



**რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრმა, „თანამშრომელთა გადამზადებისა და პროფესიული ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში, „რუსთავის კორპუსის" 44 თანამშრომელი გადაამზადა.** სპეციალური ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები „რუსთავის კორპუსის" თანამშრომლებს ქალაქის მერმა **ნინო ლაცაბიძემ** და საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ირაკლი შატაკიშვილმა,** საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრ **თამარ გოგაძესთან** ერთად გადასცეს.

**„ჩვენი გუნდისთვის, ქალაქში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან ერთად ერთ-ერთი მთავარი მიმართულება თანამშრომლების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაა, იმისთვის, რომ კიდევ უფრო ეფექტიანად შევძლოთ ახალი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, ქალაქის მოვლა-პატრონობა. მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრმა ამჯერად გადაამზადა რუსთავის კორპუსის თანამშრომლები, რომლებიც დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში კიდევ უფრო წარმატებით გააგრძელებენ საქმიანობას",** – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

ტრენინგ-მოდული „მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომები" წინასწარი კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავდა და ეფექტური კომუნიკაციის, გამოწვევების, რთული სიტუაციების მართვის, ლიდერობისა და გუნდური მუშაობის ძირითად პრინციპებსა და საკითხებს მოიცავდა.

,,ჩვენი სახელისუფლებო და პოლიტიკური გუნდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სწორედ სახელმწიფო სერვისების განვითარება. რუსთავი ამ მიმართულებით მოწინავეა საქართველოში, სწორედ სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების მიზნით შექმნა რუსთავის მერიამ მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი, რომელიც ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მუნიციპალური სერვისების კიდევ უფრო მეტად დახვეწაზე" – განაცხადა საქართველოს პარლამენტში რუსთავის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ირაკლი შატაკიშვილმა.**

საქართველოს მუნიციპალიტეტებში, პირველი მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრი რუსთავის მერიამ დააფუძნა. ცენტრი, სხვადასხვა დარგის მოწვეულ სპეციალისტებთან და ექსპერტებთან ერთად, მუნიციპალური მომსახურების თითქმის ყველა სფეროში გეგმავს და ამზადებს რეფორმებს. რუსთავის მერიაში, მუნიციპალური სერვისების რეფორმა, ორი წელია რაც მიმდინარეობს. სწორედ გატარებული რეფორმების შედეგად, საქართველოში პირველად, რუსთავში შეიქმნა მუნიციპალური სერვისების ახალი ცენტრი, გაიხსნა თანამედროვე მედიათეკა, ჩამოყალიბდა ახალი სამსახური – მუნიციპალური ინსპექცია. რეფორმა გატარდა ტრანსპორტის, არქიტექტურის, ქალაქის დასუფთავების სფეროებში. რუსთავის მუნიციპალური რეფორმებისა და სერვისების განვითარების ცენტრის შექმნით კი რეფორმების გატარების პროცესს უფრო სისტემური ხასიათი მიეცა.

ცენტრის მიზანი, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესება-მოდერნიზაციასთან ერთად, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისთვის, რუსთავში გატარებული რეფორმების ფარგლებში დაგროვილი პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების გაზიარებაა. რუსთავის მერია პირველი მუნიციპალიტეტი იქნება საქართველოში, რომელიც თანამედროვე სერვისებისა და რეფორმების შესახებ დაგროვილ გამოცდილებას, უახლოეს მომავალში სხვა მუნიციპალიტეტებს ტრენინგების ფორმით გაუზიარებს.



# გრძელდება სვანური კოშკების რეაბილიტაცია

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მესტიის მუნიციპალიტეტში კოშკების/მაჩუბების რეაბილიტაციას განაგრძობს. , ამ ეტაპზე მიმდინარეობს ლენჯერის თემის სოფელ ქაშვეთში მდებარე მიხეილ ფილფანის კოშკის გადახურვის და ბაბუ ფილფანის/სალარებ წიფიანის კოშკის სართულშუა გადახურვის, ასევე, მულახის თემის სოფელ მურშკელში მდებარე სოგრატ ქურდიანის კოშკის გადახურვის რეაბილიტაცია.**

შემუშავებულია ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე 2024 წელს დაიგეგმა სამუშაოების ჩატარება.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია მიხეილ ფილფანის კოშკის სახურავის ბურულის დაშლა, ჰიდროსაიზოლაციო მემბრანის მოწყობა და სახურავის საფრის მოწყობა ყავრის ფენილით.

ამავდროულად, მიმდინარეობს: ბაბუ ფილფანისა და სალარებ წიფიანის კოშკის ნანგრევი ჩახერგილობისგან გაწმენდა; სართულშუა გადახურვის კოჭების შეფიცვრა; ქვის დაზიანებული ნაწილის ამოშენება; ფასადის დაზიანებული ნალესობის მოხსნა და კირის დუღაბით ხელახლა შელესვა.

სოგრატ ქურდიანის კოშკზე მიმდინარეობს კოშკის ზედაპირის გამოქარული ქვის წყობის მოხსნა-აშენება და სახურავის ხის კონსტრუქციების, ყავრის ქვედა და ზედა ფენილის მოწყობა, 48 კუბური მეტრი მოცულობის კოშკის კედლის აშენება კირდუღაბის ხსნარით.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „თაუერს+" 2024 წლის 13 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს.

ზემოაღნიშნული სამი კოშკის რეაბილიტაციისთვის სააგენტომ გამოყო 245 336 ლარი.

# მომავალ წელს აჭარის ბიუჯეტი მილიარდ ლარს მიაღწევს

**აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის მოცულობა პირველად ისტორიაში დაახლოებით 800 მლნ ლარს შეადგენს.**

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ გუშინ გამართულ აჭარის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, რომ მომავალი წლისთვის იგეგმება ბიუჯეტის მილიარდ ლარამდე გაზრდა.

,,რამდენიმე კვირის წინ განხორციელდა აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის კორექტირება და პირველად რესპუბლიკურმა ბიუჯეტმა საკუთრივ მიაღწია დაახლოებით 800 მლნ ლარს. იცით, რომ დაახლოებით მომავალი წლისთვის ჩვენ ვგეგმავთ მილიარდიან ბიუჯეტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის და რა თქმა უნდა, კორექტირებული ბიუჯეტის ფარგლებში, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება დაიგეგმება, არაერთი მიმართულებით გაიზარდა დაფინანსება. მოგეხსენებათ, რომ ბიუჯეტის ზრდასთან ერთად ჩვენ პროპორციულად ვზრდით ყველა მუნიციპალიტეტის დაფინანსებას" – განაცხადა თორნიკე რიჟვაძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული 764 700 200 ლარის მოცულობის ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსება გაეზარდათ განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს – 2 მლნ ლარით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს – 10 მლნ ლარით.

გაიზარდა მუნიციპალიტეტების კაპიტალური ტრანსფერი – 23 293 900 ლარით და მუნიციპალიტეტების სპეციალური ტრანსფერის მოცულობა – 11 793 600 ლარით. გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი 38 146 500 ლარით გაიზარდა, ხოლო საშემოსავლო გადასახადიდან მისაღები შემოსავლების მოცულობა 40 მლნ ლარით იზრდება.

# ეროვნული ბიბლიოთეკა და ქართული დიასპორა

**საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის დიასპორის საკითხებზე თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა კონსტანტინე გამსახურდიამ და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ კონსტანტინიდმა.**



კონსტანტინე გამსახურდიამ ისაუბრა ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ დიასპორების მხარდაჭერის მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ამ წლების განმავლობაში დიასპორების დახმარების თვალსაზრისით.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ კოორდინირებულად იმუშავებენ საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ დიასპორულ ორგანიზაციებსა და საკვირაო სკოლებში ქართული ბიბლიოთეკების გახსნის მიმართულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა ჩაერთვება სხვადასხვა ქვეყანაში ქართული ენის კურსების მოწყობაში და ქართული ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოს მომზადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო ეროვნულ ბიბლიოთეკას დაეხმარება უცხოეთიდან არქივების ჩამოტანაში.



# კაცი, რომელიც დააკლდა... პრესას

**მართალია, სპორტი ბავშვობიდანვე მიყვარს და პროფესიის არჩევაში ბაბუის მიერ ესტაფეტასავით გადმოცემული დინასტიური ტრადიციაც დამეხმარა, რომელიც ონის რაიონულ გაზეთში კალმოსნობას ჰარმონიულად უთავსებდა პოპულარულ „ლელოსთან" თანამშრომლობას, მაგრამ ჩემს ჟურნალისტობაში სოლიდური წვლილი მაინც ბატონმა ოთარ იოსელიანმა შეიტანა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა პრაქტიკაში მრავალჯერ დადასტურებული ფაქტი, რომ ნიჭიერ, თუნდაც წიგნიერ ახალგაზრდას გზის გაკვალვაში აუცილებლად სჭირდება ხელის წამკვრელი, იგივე პატრონი**

**დიახ, სწორედ მან გამიხსნა მე-9 კლასის მოსწავლეს შრომის წიგნაკი და უმაღლესში საბუთების შესატანად აუცილებელი სტაჟით უზრუნველსაყოფად დედაქალაქის მაჟისტემის საუკეთესოდ ამსახველ გაზეთ „თბილისში" ორი წლის განმავლობაში მიქვეყნებდა სხვადასხვა ჟანრის წერილებს, ხოლო როცა 57-ე საშუალო სკოლაში გამოსაშვები გამოცდები დაიწყო, საკუთარ თანამშრომელს უშუალო მოვალეობის — ფოტორეპორტაჟის მომზადების პარალელურად ჩემთვის საიდუმლოდ გადმოსაცემი თავისუფალი თემის „შპარგალკა" გამოატანა.**

**აღარაფერს ვამბობ პირველკურსელი სტუდენტის „მოსკოვსკი კომსომოლეცში" მივლინებაზე, სადაც ცხადში ვიხილე სისხლსავსე სარედაქციო ფაცი-ფუცის თავისებურებანი. სხვათა შორის, მოგვიანებით კიევშიც მსგავსი მისიით ვაპირებდი გამგზავრებას, მაგრამ რედაქტორის კაბინეტში შესულს, მის სავარძელში სულ სხვა პიროვნება დამხვდა და პროექტი ჩაიშალა. ხომ გსმენიათ — ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჰოდა, სწორედ იმ დღეებში შეძრა კაცობრიობა ჩერნობილის ტრაგედიამ და კაცმა არ იცის, როგორ დავასრულებდი გასეირნებას უკრაინაში. ასე რომ, კიდევ კარგი...**

**ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მუდამ სიკეთის მთესველ თვისტომთა თანამგზავრი არცთუ ისე იშვიათად დაუმსახურებელი გულისტკივილია. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა შევაფასოთ ის გახმაურებული სკანდალური შემთხვევა, ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ოჯახის წევრისათვის ტურისტული მოგზაურობისთვის მიცემული სარეკომენდაციო დახასიათება ამ ზნეკეთილი მეოცესაუკუნელისათვის პარტიულ-სამსახურებრივი სასჯელით რომ დასრულდა? სამაგიეროდ, იგი თავისი მრწამსის ერთგულად დარჩა და ასეთად გვემახსოვრება ყველას, ვისაც მისი ამაგი გვცხია.**

### სადარგაზო ბარათი

ოთარ იოსელიანი დაიბადა 1924 წლის 1 აგვისტოს აბაშაში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, რის შემდეგაც ჩააბარა სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო სამკურნალო ფაკულტეტის დიპლომის აღებისთანავე გაემგზავრა მოსკოვში ჟურნალისტიკის უმაღლეს კურსებზე სასწავლებლად.

**მშობლები**

**მამა — დავით იოსელიანი.** დაამთავრა ტარტუს (იურიევის) უძველესი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი თერაპევტის სპეციალობით. გახლდათ ესტონეთში ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე. დახვრიტეს 1937 წელს. 1956 წელს შეეხო რეაბილიტაცია.

**დედა — სოფიო კანდელაკი.** ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი და ასწავლიდა რუსულს.

**ბაბუა**

**მამანტი კანდელაკი** — ცნობილი მეცენატი, განსაკუთრებით ეხმარებოდა მსახიობებს.

**ბიძები**

**ნიკოლოზ (ჯვებე) იოსელიანი** — მეცნიერი-ბიოლოგი, სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა გრიპის გართულებით. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

**პავლე კანდელაკი** — რუსთაველისა და ოპერის თეატრების დირექტორი კულტურის მინისტრის მოადგილეც იყო, ხოლო ბოლოს კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა.

**დედმამიშვილები**

**ძმა — რეზო იოსელიანი,** აგრონომი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს თანამშრომელი.

**და — დოდო იოსელიანი,** ექიმი-პედიატრი, ბავშვთა კარდიოლოგი.

**სიძე**

**ფარნა კაჭარავა** — ექიმი-ნევროპათოლოგი, რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგე.



**ძვირფასო მკითხველო! რასაც აწი წაიკითხავთ, თვით ბატონ ოთარს სხვადასხვა დროს დიდი ძალისხმევის ფასად „დავტყუე", რადგან, როგორც მოკრძალებულ პიროვნებას, საკუთარ პერსონასა და, მით უმეტეს, დამსახურებებზე საუბარი საშინლად არ უყვარდა.**

მაშ ასე:

სამშობლოში დაბრუნებისთანავე კვალიფიკაციაამაღლებულ ჩვენი წერილის გმირს უდიდესი ნდობა გამოუცხადეს და „ახკომის" პასუხისმგებელ მდივნად დანიშნეს, ხოლო 1949 წელს, თამამად შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანესი მოვლენის უშუალო თანამონაწილე გახდა:

დიახ, სწორედ მაშინ გადაწყდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სპორტული გაზეთის — ყოფილი „საქართველოს ფიზკულტურელის" აღდგენა, გადაწყვეტილების მისაღებად კი ცეკა-ს პირველ მდივან კანდიდ ჩარკვიანთან სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ფარულავა, სახელოვანი მძლეოსანი ნინო დუმბაძე, ოთარ იოსელიანი და ამ უკანასკნელის ინიციატივით მიწვეული მიხეილ კაკაბაძე შეიკრიბნენ, რომელიც იმ პერიოდში „მოლოდღოი სტალინეცში" (მოგვიანებით — „მოლოდიოჟ გრუზიაში") ინფორმაციისა და სპორტის განყოფილებას უძღვებოდა.



იდეა ყველამ აიტაცა, მაგრამ პოლემიკა დასახელებას მოჰყოლია, რადგან ძია მიშა უპირატესობას თურმე „ლახტს" ანიჭებდა. საბოლოოდ „ლელო" მაღალჩინოსანმა მასპინძელმა გაიტანა, მიხეილ კაკაბაძე გახდა პირველი რედაქტორი და ოთარ იოსელიანი — პირველი პასუხისმგებელი მდივანი.

ალბათ, სიმბოლურია, რომ სწორედ აღნიშნულ თანამდებობაზე შეუდგა სამაგალითო და ხანგრძლივ შემოქმედებით მოღვაწეობას ბატონი ოთარი 1958 წელს დაარსებულ დედაქალაქის საღამოს გაზეთ „თბილისში", რომელსაც დაახლოებით მეოთხედი საუკუნე შეალია. სიამოვნებით წარმოგიდგენთ კოლეგა თბილისელთა ძვირფას პირველ თაობას: **ნიკოლოზ ჯაში, დავით მელუხა, ალეკო შენგელია, ნოდარ ყირიმლიშვილი, ფარსადან თოფურია, სერგო ხარაზიშვილი, ოთარ გელაშვილი, ვახტანგ მაისაია, მირიან ჭიჭინაძე, ოთარ გაგუა, კოტე რუსიტაშვილი, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, შალვა ქირია, ედუარდ სიხარულიძე, შალვა მირიჯანაშვილი, ოთარ ხუციშვილი შალვა გოქაძე, ლია მიქაძე, ნანა ლოლაძე, მოგვიანებით — ნარგიზა მგელაძე, ანზორ ბასილაია, არჩილ ციცქიშვილი...**

როგორც სპორტით მოწამლული შეგირდი, ბუნებრივია, ოსტატს გამორჩეულად სპორტული თემატიკის გაცოცხლებით „ვაწუხებდი" და რადგან რამდენიმე თვეში ტაშკენტის ტრიუმფის 60 წლის იუბილე სრულდება, უპირველესად უზბეკური „ოქროს შემოდგომა" გავიხსენოთ: როგორც ეტიკეტი მოითხოვდა, წინასწარ შეუქმნიათ 2 ვარიანტი — როგორც გამარჯვების, ისე მარცხის შემთხვევის შესაბამისი, მაგრამ ყველაფერი არია დამატებითი დროის დანიშვნამ. მაშინდელმა პასუხისმგებელმა მდივანმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია შემუშავებულ გრაფიკს, კბილებით გაიტანა გაზეთის იმავე ღამით ანშლაგით — „დინამო ჩემპიონია"! დაბეჭდვა და 1 საათში „თბილისი" უკვე ბედნიერ გულშემატკივართა შორის ვრცელდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ მალევე დაარსდა გაზეთ „თბილისის" პრიზი იმ ფეხბურთელისთვის, ვინც სეზონის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ერთ შეხვედრაში 5 გოლს გაიტანდა. აღნიშნული ჯილდო სულ ორჯერ გათამაშდა და ორივე შემთხვევაში მას თბილისის დინამოელები დაეუფლნენ: 1966 წელს — **ილია დათუნაშვილი** („არარატთან") და 1968 წელს — **გოჩა გავაშელი** („კრილია სოვეტოვთან").

საგულისხმოა, რომ 70-იანების დასაწყისში ბატონმა ოთარმა დააარსა საფეხბურთო გუნდი „ჟურნალისტი" **(კაპიტანი — ოთარ (რიჩა) გაგუა, მისი ვაჟები — აფხაზეთში დაღუპული ზურა და გია გაგუები, მეკარე კოტე მახარაძე, სტოპერი გიგლა ფირცხალავა, გურამ ფანჯიკიძე, ვანდი ხანდამიშვილი, ჩვენი დაუვიწყარი მეგობრის — გურამ გომართელის შვილი ზაზა გომართელი და მაშინდელი სტამბის თანამშრომელი ვახტანგ კოპალეიშვილი).**

აღსანიშნავია, რომ ამ გუნდს დამარცხებული ჰყავს, შესაბამისად, იოჟეფ საბოთი და ვიქტორ პონედელნიკით გაძლიერებული კიეველი და როსტოველი, აგრეთვე მოსკოვში — „იზვესტიას" კოლეგები, სადაც მომავალი რედაქტორი, სამტრედიაში დაბადებულ-გაზრდილი და ქართულად თავისუფლად მოსაუბრე წარმოშობით პოლონელი ჩვენი თანამემამულე იგორ გოლემბიოვსკი თამაშობდა.

როცა 100 წლის ოთარ იოსელიანზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევავლოთ თვალი მის ერისკაც მეგობართა თანავარსკვლავედს, ვისთან თავანკარა ურთიერთობასაც ბევრი ინატრებდა: **ვასო გოძიაშვილი, რევაზ მარგიანი, მორის ფოცხიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, რევაზ ჯაფარიძე, მედეა ჩახავა, ხუტა ბერულავა, მერაბ ბერძენიშვილი, შოთა იამანიძე, აკაკი გელოვანი, მალხაზ ბებურიშვილი, თამაზ გამყრელიძე, გიზო ნიშნიანიძე,** ვისაც 1981 წლის ზაფხულში პოპულარული „პაემანი ვერაზე" დაუბეჭდა.

და ბოლოს: ბატონი ოთარი 2000 წელს გახდა უკვდავების ბინადარი. საინტერესოა, როგორ შეაფასებდა იგი თანამედროვე პრესას?

**გია პლატონიშვილი**

# ტრამპისა და ჯონსონის გეგმებს უკრაინა აკრიტიკებს!

**დასავლეთმა უკრაინის ომის დამთავრებასა და მოსკოვთან მოლაპარაკების დაწყებაზე საუბრებს მოუხშირა, რასაც ბიძგი ტრამპმა და ამერიკელმა რესპუბლიკელებმა მისცეს. ცნობილია, რომ ტრამპი და მისი თანამოაზრეები უკრაინის ომს სკეპტიკურად უყურებენ. ტრამპი ამბობს, როგორც კი თეთრ სახლში დავბრუნდები, ომის დასასრულებლად, რუსეთთან მოლაპარაკებას ვიწყებო. ტრამპის გამარჯვებაში დარწმუნებულმა უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა ამ დისკურსს ახალი იმპულსი მისცა, წამოიწყო რა თავისი ცნობილი სამშვიდობო მისია.**

ორბანს ბორის ჯონსონმა აუბა მხარი, რამაც ბევრი განაცვიფრა. ის ყოველთვის ანტირუსული პოლიტიკის მომხრე იყო და იმიტომ! ახლა, ჯონსონმა ტონი შეარბილა. გამჭრიახმა პოლიტიკოსმა ალბათ, იგრძნო, რომ სხვა ნიავმა დაუბერა. ის პირადად ეწვია ტრამპს და რესპუბლიკელთა ყრილობასაც დაესწრო. სახლში რომ დაბრუნდა, უკრაინის ომის დამთავრების საკუთარი გეგმა გააჟღერა. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმა თქვა, მკვლელობის ინციდენტის დროს ტრამპმა დასავლეთის უშიშარი ლიდერის ნამდვილი სახე აჩვენაო. მასთან საუბრის შემდეგ, ჯონსონი დარწმუნდა, რომ ტრამპს უკრაინის ომის დამთავრება კი უნდა, მაგრამ უკრაინელებს ბედის ანაბარა არ მიატოვებს. მას სურს და ძალაც შესწევს, რომ ომი დაასრულოს, მაგრამ არა რუსეთის გეგმით, აღნიშნა ჯონსონმა.



სამყარო გზაჯვარედინზეა: ომია შუაგულ ევროპაში, კონფლიქტია ახლო-აღმოსავლეთში, დაძაბულობაა სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ჩინეთი ტაივანს აგრესიით ემუქრება. ტრამპს ესმის, რომ ამერიკის მხარდაჭერის გარეშე ევროპა წააგებს. პუტინი კი, მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს არ იკმარებს, რაც ამერიკის ლიდერობით აშენებულ მსოფლიო წესრიგს ძირს გამოუთხრის. ამიტომ, დიდი ბჭობის შემდეგ, საზოგადოებას ომის დამთავრების ჩემეულ გეგმას ვთავაზობო, განაცხადა ბორის ჯონსონმა. გეგმა კი ასეთია: დასავლეთი უკრაინას თანამედროვე შეტევითი სამხედრო ტექნიკით აიარაღებს. დასავლეთი უკრაინას ნებას რთავს, ქვეყანაში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ობიექტებზე იერიში მიიტანოს, რითაც 2022 წლის შემდეგ დაკარგული ტერიტორიები უნდა დაიბრუნოს. შემდეგ, დასავლეთმა პუტინი უნდა აიძულოს, მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს. უკრაინას კი, დასავლეთისგან უსაფრთხოების გარანტიები უნდა მიეცეს. უკრაინამ, თავად, და არა რუსეთის კარნახით, უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა ნატოში და ევროკავშირში გაწევრება. უკრაინა და დასავლეთი კი, რუსეთის მიმართ რაღაც დათმობებზე უნდა წავიდეს. მაგალითად, უკრაინა თავის რუს მოქალაქეებს ხელშეუხებლობისა და ნორმალური ცხოვრების გარანტიას მისცემს, და ქვეყანაში ორი ოფიციალური ენა, უკრაინული და რუსული, დაწესდება. დასავლეთი დაუყოვნებლივ გააუქმებს რუსეთის მიმართ სანქციებს და შესთავაზებს ფინანსურ დახმარებას. ყირიმისა და დონბასის საკითხი, დროებით, გადაუწყვეტელი დარჩება.

ამ გეგმით ამერიკის დასაინტერესებლად, ჯონსონი წინადადებით გამოდის, უკრაინას ჰყავდეს დიდი და კარგად გაწვრთნილი ჯარი, რომლისგანაც, შეიქმნება ევროპის სამხედრო თავდაცვითი ძალები. ამერიკა კი ევროპაში, მინიმუმამდე დაიყვანს სამხედრო კონტინგენტს. ასეთი გეგმით ევროპა დაცული იქნება და ამერიკა ფულს დაზოგავს. უწერია თუ არა ბორის ჯონსონის ამ ორიგინალურ გეგმას განხორციელება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩანს, დასავლეთი ფიქრობს, უკრაინის გადასარჩენად, რუსეთს ყირიმი და დონბასი დაუთმოს.

უკრაინაში ჯონსონის სამშვიდობო გეგმამ არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა. ტერიტორიების დაკარგვა მათთვის ძალიან მტკივნეული რამაა. საინტერესო და დასაფიქრებელი გეგმააო, მოკლედ თქვა ზელენსკის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ოლგა სტეფანიშინამ. კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ კი, გეგმა გააკრიტიკა, რომლის აზრით, მხოლოდ რეფერენდუმის გზით შეიძლება უკრაინამ რუსეთს ტერიტორიები დაუთმოს. ეტყობა, ომით დაქანცულ-გამოფიტული უკრაინა კატეგორიულ უარზე აღარაა ასეთ დათმობაზე წავიდეს.

# კლასიკური ტურიზმის ქვეყნები ტურისტებს განუდგნენ!

**მსოფლიოში გახურებული ტურისტული სეზონია. გლობალიზაციამ მოგზაურობა გააადვილა. ტურისტების ნაკადი ყველა მიმართულებით იზრდება. ტურიზმი, უბრალოდ, ადამიანის და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების ფინანსურ წყაროდ იქცა. სხვა თვალით თუ შევხედავთ, ტურიზმს შემოსავალი კი მოაქვს, მაგრამ ნეგატივიც ბევრი ახლავს: ხალხმრავლობა, ხმაური, გარემოს დაბინძურება, ფასების ზრდა და სხვა. როგორც ირკვევა, ევროპის მოსახლეობა მასობრივმა ტურიზმმა გადაღალა, რაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევს**

ამ ზაფხულს, საპროტესტო ტალღამ არაერთ ევროპულ ქვეყანას გადაუარა, მათ შორის, ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველ ქვეყნებს, ესპანეთს, იტალიას, საბერძნეთსა და საფრანგეთს. ხალხი ხელისუფლებისგან ტურისტული ნაკადის შემცირებას ითხოვს. გამოსვლები, თითქმის, მთელს ესპანეთს მოედო. კანარის კუნძულებსა და მალიორკაზე მრავალი ათასი ადამიანი გამოვიდა გარეთ. საპროტესტო ტალღამ ბარსელონამდეც მიაღწია, სადაც, პროტესტის მონაწილენი წყლის თოფებით იყვნენ შეიარაღებული ტურისტების გასაწუწად. ესპანეთის უზენაეს სასამართლოში საჩივრები შევიდა, ჭარბი ტურიზმი ადგილობრივ მოსახლეობას ცხოვრებას ურთულებსო. მართლაც, კუნძულზე ცხოვრება შეუძლებელი ხდება ბინების გაძვირებისა და ფასების მატების გამო. პლაჟები, კაფე-რესტორნები და თავშეყრის სხვა ადგილები ტურისტებითაა გადატვირთული. პროტესტის მიზანი ჭარბი ტურიზისა და ტურისტებისთვის ბინებისა და სახლების მიყიდვის შეზღუდვაა. ტურისტები შეძენილ სახლებში მხოლოდ რამდენიმე თვით ცხოვრობენ ან აქირავებენ მათ. რეალიზატორებისთვის, ეს, ბიზნესია, მოსახლეობისთვის კი, გაძვირებული ცხოვრება და მზარდი ფასები უძრავ ქონებაზე. პოლიტიკოსები ხალხის დამშვიდებას ცდილობენ. ბარსელონას მერი მოსახლეობას შეჰპირდა, რომ 2028 წლიდან, 10 ათასზე მეტ უცხოელს ბინის მფლობელის ლიცენზიას გააუქმებს, რაც, ამჟამად, მოკლევადიანი გაქირავების უფლებას იძლევა. ასე თქვა, მოსაკრებელსაც გავზრდიო. ბევრ ქვეყანაში არსებობს გადასახადი ტურიზმზე, ანუ ტურისტი სახელმწიფოს ცალკე ბეგარას უხდის. შემოსული ფული ქალაქების ინფრასტრუქტურაზე იხარჯება.



მაშინ, როცა ერთნი ტურიზმის შეზღუდვაზე ოცნებობენ, სხვები, ტურიზმის სიჭარბის თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობენ. მაგალითად, პანამის მერის მიერ ჩაწერილი ერთი ვიდეომიმართვა ინტერნეტში ვირუსულად გავრცელდა. მან ბარსელონაში ჩასული ტურისტები თავის ქვეყანაში დაპატიჟა, და არა მხოლოდ! მომავალ ტურისტებს უთხრა, მგზავრობისა და ბინის ხარჯებს მერია დაგიფარავთო. ჯერ არ არის ცნობილი, გამოეხმაურნენ თუ არა ბარსელონაში ჩასული ტურისტები ამ მიმზიდველ შეთავაზებას. ნამდვილად საინტერესოა, რით დამთავრდება მერის ეს კომერციული მცდელობა...



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# აუდიტის სამსახური მაკრონს ამხელს

**მეფე ჩარლზის 500 ათასი ევროს ვახშამი საფრანგეთის პრეზიდენტის ბიუჯეტის გარღვევას იწვევს!**

**დიდი ბრიტანეთის მეფის სახელმწიფო ვახშამი ფრანგებს თითქმის 500 000 ევრო დაუჯდა.**

გაერთიანებული სამეფოს მეფე ჩარლზ III-ისთვის თითქმის 475 000 ევროს ღირებულმა ვახშამმა საფრანგეთის ელისეს სასახლე – პრეზიდენტი ემანუელ მაკრონის ოფისი – გასულ წელს რეკორდულად მაღალ დეფიციტამდე მიიყვანა.

საფრანგეთის სიყვარული გრანდიოზული ჟესტებისა და მდიდრული სადილებისადმი სრულად დასტურდება ელისეს ბიუჯეტის ყოველწლიური აუდიტის ვებგვერდებზე არსებული ინფორმაციით, რომელიც ორშაბათს გამოქვეყნდა Cour des Comptes-ს მიერ. საფრანგეთის უმაღლესი აუდიტის სასამართლოს მიერ ელისეს სასახლის ხარჯებმა, რომელიც მოიცავს პრეზიდენტის დიპლომატიურ და საპრეზიდენტო მოვალეობებთან დაკავშირებულ ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციას, პერსონალს, დაცვას და ქონების მართვას, მიაღწია 125 მილიონ ევროს.





# ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ნატოდან თურქეთის გარიცხვას ითხოვს!

**პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადების გამო, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ნატო-დან თურქეთის გარიცხვას ითხოვს. ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს.**

„თურქეთის პრეზიდენტის მხრიდან ისრაელში შეჭრის მუქარების და მისი საშიში რიტორიკის ფონზე, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისრაელ კაცმა დაავალა დიპლომატებს, სასწრაფოდ დაუკავშირდნენ ნატოს ყველა წევრს და მათ თურქეთის დაგმობისკენ მოუწოდონ, მოითხოვონ რეგიონული ალიანსიდან მისი გარიცხვა“, – ნათქვამია ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

გასულ კვირას ერდოღანმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ თურქეთი შესაძლოა, ისრაელში შევიდეს.

„ჩვენ ძლიერები უნდა ვიყოთ, რომ ისრაელმა ვერ შეძლოს პალესტინისთვის მსგავსი უგუნური რაღაცების გაკეთება. როგორც ყარაბაღში, ლიბიაში შევედით, ჩვენ, შეიძლება, გავაკეთოთ იგივე მათთან“, – განაცხადა თურქეთის ლიდერმა. ასევე მას არ დაუკონკრეტებია, რა სახის ინტერვენციის შესაძლებლობაზე საუბრობდა.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვლადიმერ შამანაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვლადიმერ შამანაძე (პ/ნ 61009001072), წალკა, ს. სამება

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** წალკა, ს. სამება (საკადასტრო კოდი: 85.31.21.063)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 50637.93 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 1 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 15 აგვისტო, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100950824;

აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1009508

**6. მოვალე:** ვლადიმერ შამანაძე (პ/ნ 61009001072), წალკა, ს. სამება

გულიკო შამანაძე (პ/ნ 61009001073), წალკა, ს. სამება

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100950824; ლოტის ნომერი: 1009508).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 აგვისტოს 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველი აუქციონს ალიკა მიტიჩაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გურჯაანი, ს. ველისციხე (საკადასტრო კოდი: 51.07.61.086)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 58217.23 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 1 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 15 აგვისტოს, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100950924;

აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1009509

**6. მოვალე:** ალიკა მიტიჩაშვილი (პ/ნ 13001004782), გურჯაანი, ს. ველისციხე, 35-ე ქუჩა №78;

მანანა სარაშვილი (პ/ნ 13001047977), გურჯაანი, ს. ველისციხე, მე-5 ქუჩა №6

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE**17**TB**1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100950924; ლოტის ნომერი: 1009509).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 აგვისტოს 12:00 საათამდე.

# განცხადება
## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველი აუქციონს მაკა ლალიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მაკა ლალიაშვილი (პ/ნ 01024037466), თბილისი, ივანე მაჩაბლის ქუჩა №1/6, ბინა 9

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, ივანე მაჩაბლის ქუჩა №1/გიორგი ლეონიძის ქუჩა №6, სართული 2, ბინა 5 (საკადასტრო კოდი: 01.15.05.013.002.01.005)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 762790.27 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 1 აგვისტო, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 15 აგვისტო, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP100951024;

აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1009510

**6. მოვალე:** მაკა ლალიაშვილი (პ/ნ 01024037466), თბილისი, ივანე მაჩაბლის ქუჩა №1/6, ბინა 9;

ნიკოლოზ ლალიაშვილი (პ/ნ 01017013032), თბილისი, ივანე მაჩაბლის ქუჩა №1/6, ბინა 9

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი **GE**17**TB**1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP100951024; ლოტის ნომერი: 1009510).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 აგვისტოს 12:00 საათამდე.

# განცხადება
## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **მესტიის მუნიციპალიტეტში, სს "გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემის საქრუსენერგოს" 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის" N91-N94 საყრდენებს შორის უბნის რეკონსტრუქციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 15 აგვისტო, 16:00 საათი, მესტიის მუნიციპალიტეტის, ხაიშის თემის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 23 ივლისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განცხადება
## საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე რიცეულაზე შპს „სადმელი ჰესის“ 2,66 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „სადმელი ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციისა და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა საკაბელო ეგხ-ის გაყვანის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 5 სექტემბერი, 15:00 საათი, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. სადმელის საჯარო სკოლის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 24 ივლისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

## პარიზი — 2024

# გვალვიდან — „გრიგალამდე“



**მართლაც, ვის უნდა გაეტეხა ნავსი, თუ არა ტატო გრიგალაშვილს, რომელმაც საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას თამაშების მეოთხე დღეს ასე ნანატრი პირველი მედალი მოუპოვა ფრანგულ ფორუმზე.**

სამ-სამგზის მსოფლიოსა და ევროპის გვირგვინოსანი უკვე დიდი ჩემპიონია, მაგრამ ტოკიოში განცდილი ფიასკო მისი კარიერის შავ ლაქად რჩებოდა და სხვა ფაქტორებთან ერთად პარიზის ტატამზე მოხვეჭილი ვერცხლი ამიტომაც ფასობს ოქროს ტოლფასად – დიახ, ჩვენი 24 წლის საამაყო ძიუდოისტი შეუერთდა კიმონოიან თანამემამულეთა ელიტურ კლუბს, მის სახელოვან წევრთა – თემურ ხუბულურისა თუ ნესტორ ხერგიანის სახით, ვიცე-ჩემპიონთა თანავარსკვლავედს რომ ამშვენებს.

მთელი ტურნირის განმავლობაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ლაშა გუჯეჯიანის ერთ-ერთი საკვანძო მნიშვნელობის შეგირდი ტრავმირებული ჭიდაობდა და საპატიო კვარცხლბეკისკენ გამაყუჩებლებით მიიწევდა. თუ ეს ჭეშმარიტებას წარმოადგენს, მაშინ ქედი უნდა მოვიხაროთ მისი სპორტული გმირობის წინაშე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს ტაქტიკური ხრიკი გახლდათ და მიზნად მეტოქეთა ყურადღების მოდუნებას ისახავდა, აქაოდა სტილი ვიცვალე და ფეერიული ილეთების შესრულებაზე უარი შეგნებულად ვთქვიო, მაშინ ტატოს უკვე სამსახიობო ნიჭი უნდა შევუქოთ და თავად განსაჯეთ, რომელი ვარიანტი გამოიყურება უფრო დამაჯერებლად.

ფაქტი კი ის გახლავთ, რომ გრიგალაშვილის მსხვერპლთა კვარტეტიდან – მოლდოველი ლატიშევი, ავსტრიელი ქისტი ბორჩაშვილი, ტაჯიკი მაჰმადბეკოვი და კორეელი კიმდოხვანი – ორი უკანასკნელი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა, თანაც გადატანილი ბრძოლების უმეტესობაში გამარჯვებულის ვინაობა დამატებითმა დრომ, ეგრეთ წოდებულმა გოლდენ სქორმა გამოავლინა და მხსნელი გდებების შესრულება ჯვაროსანთა ერთ-ერთ ლიდერს ძალთა აბსოლუტური მობილიზების ფონზე უწევდა, როცა რისკის ფაქტორი გაზრდილი იყო და კონტრილეთს შეიძლებოდა ყველაფერი წყალში ჩაეყარა.

რაც შეეხება იაპონელ აწ უკვე ზედიზედ ორგზის ტრიუმფატორ ტაკანორი ნაგასესთან ფინალში უშანსოდ დამარცხებას, მოდით, ამჯერად შემოვიფარგლოთ დღემდე სადავო გამოთქმით, რომ მოგება და წაგება ძმები არიან, მრისხანე მეტოქეს კი, ტატოს მსგავსად, დამსახურებული ჯილდო მივულოცოთ.

იმავე დღეს ეთერ ასკილაშვილს დაუვიწყარი გაკვეთილი ჩაუტარა მომავალმა სლოვანიელმა ჩემპიონმა ლესკიმ, ხოლო მოკრივეთა ტურნირის მეოთხედფინალში მეზობელი აზერბაიჯანელის ჰასანოვის ძლევით ლაშა გურულმა გააღწია და დღეს ყაზახთან ფარულ ბრინჯაოს ფინალს გამართავს.

## მეზობლებთან

# ჭაბუკას დუბლი

**თურქეთის ქალაქ ბურსაში ამ დღეებში გაიმართა ყოველწლიური VI საერთაშორისო ტურნირი კარატეში, რომელშიც მსოფლიოს 15 ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდმაც მიიღო მონაწილეობა.**



ამ პრესტიჟულ შეჯიბრზე, რომელიც თურქეთის კარატეს ფედერაციის ორგანიზებით მოეწყო, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა **ჭაბუკა მახარაძემ** უფროსი კატეგორიის ინდივიდუალურ კატასა და კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიებში 2 ოქროს მედალი მოიხვეჭა და ასევე გადაეცა სპეციალური პრიზი თურქეთში წლების განმავლობაში წარმატებული ასპარეზობისთვის.

იქაურ საერთაშორისო ჩემპიონატებზე ვეტერანი სპორტსმენი 2005 წლიდან რეგულარულად მონაწილეობს და აღებული აქვს ყველა სინჯის 15-მდე მედალი.

ჭაბუკა მახარაძე არის მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და წარმატებული ინსტრუქტორი, ასევე შავი ქამრის V დანის მფლობელი და საქართველოს შოტოკან კარატე კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი. საერთაშორისო ტურნირებზე ის 1998 წლიდან რეგულარულად წარმატებით ასპარეზობს და მოპოვებული აქვს ყველა სინჯის 100-ზე მეტი მედალი.

**ჭაბუკა მახარაძე, შოტოკან კარატე დოს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი:** ბურსას საერთაშორისო ჩემპიონატზე პირველად 2011 წელს მივიღე მონაწილეობა და მას შემდეგ სტაბილურად წარმატებით გამოვდივარ. ამ ტურნირში მონაწილეობდნენ გუნდები შემდეგი ქვეყნებიდან: საბერძნეთი, იტალია, ირანი, პალესტინა, სერბეთი, ტუნისი, ფილიპინები, ბულგარეთი, მაკედონია, მაროკო... კუმიტეში ყველა ბრძოლა დამაჯერებლად მოვიგე, კატას დისციპლინაში ყველა წრე მაღალი ქულებით გავიარე და ასე დავიკავე პირველი ადგილები. ოქროს მედლების გარდა წელს თურქეთის კარატეს ფედერაციამ უკვე მეორედ გადმომცა სპეციალური პრიზი თურქეთში წლების განმავლობაში წარმატებული ასპარეზობისთვის, რაც ჩემთვის პატივიცაა და დასაფასებელიც. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ყველა ჩემპიონატზე წარმატებით ვიასპარეზო და ღირსეულად წარვადგინო ჩვენი ქვეყანა, რაც დიდი მოტივაცია და ასევე დიდი პასუხისმგებლობაა. ყოველთვის მახარებს, როცა კვარცხლბეკზე ვდგავარ და საქართველოს დროშა ფრიალებს.

## ღირსეული

# სტენდის რისხვა

**პარიზის ოლიმპიადის ცხარე დღეებში განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ იმ ტიტულოვან სპორტსმენებს, ვინც კარიერა აღნიშნული უმაღლესი ხარისხის ჯილდოს გარეშე დაასრულა, მაგრამ ამით მათ სიდიადეს არაფერი აკლდება.**



ჩვენთვის დაუვიწყარ 1981 წელს გამოჩენილმა მესტენდურემ **თამაზ იმნაიშვილმა** თავის მრავალრიცხოვან მიღწევებს გვირგვინი შორეულ არგენტინაში მოხვეჭილი ჩემპიონობით დაადგა, სადაც 200-დან 198 ქულას მოუყარა თავი, 1996 წელს გათამაშებულ მსოფლიოს თასზე კი ტრიუმფი პლანეტის აბსოლუტური რეკორდითა და, ბუნებრივია, ხმაურიანი გამარჯვებით გამოჭედა – 125-დან 125(!). მანამდე კი...

ყველაფერი უფროსი ძმის მიბაძვით დაიწყო, როცა თბილისის პიონერთა სასახლეში შალვა გუჯარელიძე ავარიჯშებდა, ხოლო მოგვიანებით, უკვე საყვარელ სახეობაში, ვაკეში დაწყებული დაოსტატება ვარკეთილის სასროლეთზე მიხეილ კუროჩკინთან განაგრძო და 19 წლისა საკავშირო ნაკრებში მიიწვია, იქ გატარებულ 17 სეზონს კი გუნდის კაპიტნობა მატებს წონას.

სამი ოლიმპიადის მონაწილის ყულაბას მსოფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებსა თუ სსრკ ხალხთა სპარიტაკიადაზე მოხვეჭილი უამრავი მედალი ამშვენებს, რასაც ჰარმონიულად ავსებს საპატიო რეგალიები: სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ამ დღეებში სახელოვან ჩუბინს 70 წელი შეუსრულდა, რასაც საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ!

## ხუთი რგოლი

# პარასპორტი — სრულყოფილად!

**საქართველოს პარალიმპიური ნაკრები პარიზის ზაფხულის 17–ე პარალიმპიურ თამაშებზე აგვისტოს ბოლოს სპორტის 6 სახეობაში 14 პარაათლეტით იასპარეზებს. ჩვენს ქვეყანას ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირზე რეკორდული რაოდენობის სპორტსმენები ეყოლება.**

ქართველ პარასპორტსმენთა სახელით, „შერატონში“ გამართულ გაცილების ცერემონიაზე ფიცი მოფარიკავე **ირმა ხეცურიანმა** დადო, საქართველოს პარალიმპიური ნაკრების მედროშე კი **აკაკი ჯინჭარაძე** იქნება.



**ეტლით ფარიკაობა:**
– ირმა ხეცურიანი;
– ნინა თიბილაშვილი.

**პარა მძლეოსნობა:**
– გიორგი ოჩხიკიძე (ბირთვის კვრა);
– დავით ქავთარაძე (სიგრძეზე ხტომა);

**ტაეკვონდო:**
– ანა ჯაფარიძე (-54 კგ);
– ლია ჩაჩიბაია (-47 კგ);
– გიორგი ნიკოლაძე (-70 კგ).

**პარა სროლა:**
– ვლადიმერ ჭინჭარაული (შაშხანით სროლა R4 და R5 კატეგორიებში 10 მეტრზე და R9 კატეგორიაში 50 მეტრზე);

**პარა ძიუდო:**
– ზურაბ ზურაბიანი ( -60 კგ);
– გიორგი ქალდანი (-73 კგ);
– ინა ქალდანი (+70 კგ);
– ლაშა ყიზილაშვილი (-90 კგ);
– რევაზ ჩიკოიძე (+90 კგ).

**პარა წოლჭიმი:**
– აკაკი ჯინჭარაძე (+107 კგ).

**აქვე გეტყვით, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, გამარჯვებული მილიონ, ვიცე-ჩემპიონი ნახევარ მილიონ და ბრინჯაოს პრიზიორი 250 000 ლარს მიიღებს.**

# ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის კვლევებს მუნიციპალიტეტი დააფინანსებს



**თბილისის მერიის „ტრანსპლანტაციის პროგრამის“ ფარგლებში, ძვლის ტვინის გადანერგვის კომპონენტს კიდევ ერთი კვლევის დაფინანსება დაემატება, რაც შესაძლებელს გახდის, საქართველოში ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრი შეიქმნას, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

მისი თქმით, დონორთა ბანკში ჩასართავად და აუცილებელი კვლევების ჩასატარებლად, მსურველებმა თბილისის მერიას შესაბამისი საბუთებით უნდა მიმართონ.

**„ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნა, თავის მხრივ, საქართველოში ძვლის ტვინის ალოგენური (არანათესაური) გადანერგვის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ეს პაციენტისა და მისი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან გარკვეულწილად, მათ ფინანსურ და ემოციურ ტვირთს შეუმსუბუქებს. საქართველოში ღეროვანი უჯრედების დონორთა ბანკის შექმნა ძვლის ტვინის დონორთა მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და მათი მხარდაჭერით ხორციელდება. ორგანიზაციის წარმომადგენლები გასული წლის ბოლოს იმყოფებოდნენ ჩვენს ქვეყანაში და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და მერიაში შეხვედრები გამართეს, სადაც შეთანხმდნენ, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას“**, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მოხალისეებს ძვლის ტვინის ადამიანური ლეიკოციტის ანტიგენის განსაზღვრის და სხვა კვლევები ჩაუტარდებათ, რასაც მუნიციპალიტეტი დააფინანსებს.

# 5 ყველაზე გავრცელებული დაავადება საქართველოში

**2023 წლის მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებდა 243 საავადმყოფო, საწოლთა ფონდი კი 15.4 ათასს შეადგენდა, რაც 14.5 პროცენტით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს.**



საქსტატის ინფორმაციაში, ასევე მოცემულია მონაცემები იმ დაავადებების შესახებ, რომელიც საქართველოში ყველაზე გავრცელებულია.

„2023 წელს წინა წელთან შედარებით რეგისტრირებული დაავადებების (პირველად დადგენილი დიაგნოზით) რაოდენობა ყველაზე მეტად გაზრდილია შემდეგ ჯგუფებში: ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები გაიზარდა 53.4 პროცენტით, ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა – 51.5 პროცენტით, კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები – 50.0 პროცენტით, თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები – 45.4 პროცენტით, ხოლო ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები – 42.3 პროცენტით.

ავადობის ძირითადი ჯგუფებიდან მოსახლეობაში ყველაზე მეტად გავრცელებულია სასუნთქი სისტემის, სისხლის მიმოქცევის სისტემის, შარდსასქესო სისტემის, თვალისა და მისი დანამატებისა და ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები,“ – წერია ინფორმაციაში.

# დონორის გულის მოლოდინი არ იქნება საჭირო!

## ისტორიაში პირველად ადამიანს ტიტანის გული გადაუნერგეს!

**ამჟამად ათასობით ადამიანს მთელს მსოფლიოში სჭირდება დონორის გული. ამ ორგანოს გადანერგვის აუცილებლობა ჩნდება გულის მძიმე უკმარისობის, ინფარქტის, გულის დაავადების და მრავალი სხვა სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობის დროს. დონორის გულის მიღების რიგი ყოველთვის გრძელია, ადამიანებს რამდენიმე წელი უწევთ ლოდინი და უმეტეს შემთხვევაში მისი მიღების გარანტია არ არსებობს. პაციენტების სიცოცხლის გადასარჩენად ქირურგები მათ სხეულში უყენებენ ხელოვნურ გულებს, რომლებსაც ძალიან რთული დიზაინი აქვთ და ძვირი ჯდება. ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა მოახერხეს გარღვევა ტრანსპლანტოლოგიის სფეროში – შექმნეს გული ტიტანისგან და წარმატებით გადანერგეს იგი ადამიანში.**



მსოფლიოში პირველი ტიტანის გული შეიქმნა ტეხასის გულის ინსტიტუტისა და ბივაკორის ინჟინრების მიერ. მის ბირთვში არის ტიტანისგან დამზადებული ტუმბო, რომელიც სისხლს ადამიანის მთელ სხეულში ატარებს მაგნიტურად შეჩერებული როტორის გამოყენებით. ის არ საჭიროებს დამატებით აღჭურვილობას და ამავე დროს მისი სიმძლავრე საკმარისია პაციენტის გულის ორივე პარკუჭის მუშაობის შესასრულებლად.

ცნობილია, რომ ტიტანისგან დამზადებული ხელოვნური გული ცოტას იწონის და ასევე დროთა განმავლობაში არ ცვდება. ერთ წუთში მას შეუძლია 12 ლიტრამდე სისხლის ამოტუმბვა. იმის გათვალისწინებით, რომ ნამდვილი გული მოსვენებულ მდგომარეობაში 5 ლიტრ სისხლს ამოტუმბავს, ხელოვნური ორგანო ადამიანებს აქტიური ცხოვრების საშუალებას მისცემს. დამღლელი სპორტითაც კი, მათი სხეულის ყველა ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება სისხლის საჭირო რაოდენობით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი წინასწარი მონაცემებია. ერთი პაციენტის სხეულში უკვე დამონტაჟდა ტიტანის გულის პირველი ასლი. როგორც ჩანს, ის კარგად მუშაობს. მაგრამ მას რამდენიმე თვის განმავლობაში მოუწევს მონიტორინგი, რათა დარწმუნდეთ, რომ მოწყობილობა მუშაობს.

მიუხედავად იმისა, რომ ტიტანის გულს აქვს ხანგრძლივი მომსახურების ვადა, ის არ უნდა დარჩეს სხეულში დიდი ხნის განმავლობაში. სხვა ხელოვნური გულების მსგავსად, მას მხოლოდ დროებით ორგანოდ გამოიყენებენ – როგორც კი დონორი გული მზად იქნება ტრანსპლანტაციისთვის, მას ორგანიზმიდან ამოიღებენ.

უახლოეს მომავალში ქირურგებს სურთ კიდევ ოთხი პაციენტის სხეულში ტიტანის გული დაამონტაჟონ. თუ მოწყობილობა კარგად დაფუძნდება, მას გამოიყენებენ მასობრივად. ამ გამოგონების წყალობით ათასობით ადამიანის სიცოცხლე გადარჩება და ეს იქნება ძალიან დიდი გარღვევა კარდიოლოგიისა და ზოგადად მედიცინის სფეროში.

## სულთათანა

**საქართველოს მწერალთა კავშირი თანაუგრძნობს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ძვირფასი დედის**

**იზოლდა ორმოცაძე-გონაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად თანაუგრძნობს ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ჩვენი გაზეთის მუდამ სასურველ ავტორსა და მეგობარს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს ძვირფასი დედის**

**იზოლდა ორმოცაძე-გონაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

## მონატრება

### ვახტანგ ლიპარტიანი-ხარებავა



**უკვე ტკივილიანი წელიწადი გავიდა ვახტანგ ლიპარტიანი-ხარებავას გარდაცვალებიდან. ისევე ჩუმად დაგვტოვა, როგორც უყვარდა ცხოვრება.**

სამაგიეროდ, მის მიერ გაკეთებული საქმეები და ქმნილი სიკეთეები ხმაურობენ დღემდე და ასე გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ნათელისა და ბნელის მარადიულ ბრძოლაში ჭეშმარიტება იზეიმებს.

საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების წარჩინებით დასრულების შემდეგ ეკონომისტისა და პედაგოგის ღირსეული ქართული ოჯახის შვილმა სამოღვაწეო ასპარეზად ბიზნესი აირჩია და მეღვინეობა „ხარებას“ დამფუძნებელი, როგორც სამაგალითო ღვთისმოსავი, ბოლომდე სუფთა კაცად დარჩა.

ქველმოქმედებით გამორჩეულ ჩვენს ძვირფას ვახტანგს თავიდანვე ბედისწერად ექცა მძიმე ფსიქოლოგიურ დარტყმებთან გამკლავება – უმცროსი ძამიკოს ტრაგიკულად დაღუპვიდან დაწყებული, მშობლიური აფხაზური ოდაბადეს იძულებითი დატოვებით გაგრძელებული, მაგრამ ნორჩი ვაჟკაცის – ნიკოლოზის მოულოდნელად დაკარგვამ დრამატულად დააჩქარა მისი საწუთროსგან განრიდება.

უფალს ებარებოდე, დაუვიწყარო მამულიშვილო!

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**

# თბილისში ერთ საპარკინგე ადგილზე 24 მანქანა მოდის!

**2018-2023 წლებში თბილისში მოწყობილი საპარკინგე ადგილების ჯამური რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 3%-ით მცირდებოდა. აქედან, სტანდარტული საპარკინგე ადგილების ზონალურით ჩანაცვლება მხოლოდ ნაწილობრივად მოხდა,– ვკითხულობთ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ (IDFI) კვლევაში.**

კვლევის თანახმად, ბოლო 5 წლის განმავლობაში სტანდარტული საპარკინგე ადგილები შემცირდა 12 754-ით, ხოლო ზონალური გაიზარდა 10 217 ადგილით.

„2024 წლის მდგომარეობით, თბილისში ერთ საპარკინგე ადგილზე 24 მანქანა მოდის. როგორც კვლევაშია აღნიშნული, ბოლო 5 წელში, დედაქალაქში რეგისტრირებული მანქანების რაოდენობა 31%-ით ანუ 152 482 მანქანით გაიზარდა, ხოლო პარკირების ადგილი 11%-ით, ანუ 3 175 ადგილით შემცირდა“, – წერია კვლევაში.

# სტიქია აჭარაში

**აჭარაში,** დაბა ჩაქვში ძლიერი წვიმის შედეგად ცენტრალური საავტომობილო გზა დაიტბორა. მიმდებარე სოფლებში კი წყალი საცხოვრებელი სახლების ეზოსა და სარდაფებში შევიდა.

ბათუმის მერიის ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის დასრულებულია გზის გაწმენდითი სამუშაოები და აღდგენილია მოძრაობა.

**„რამდენიმე მისამართზე დაიტბორა ეზო, სადაც უკვე განხორციელდა წყლის ამოტუმბვის სამუშაოები.**

**ამ დროისთვის ქალაქში სტაბილური მდგომარეობაა. საგანგებო რეჟიმში მუშაობას განაგრძობს ყველა შესაბამისი სამსახური“, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.**



# „მუხრანის პრემია – პოეტური მინიატიურები“



**„პრემიის დაწესება მიზნად ისახავს მუხრან მაჭავარიანის ცხოვრება–შემოქმედების პოპულარიზაციას, პოეტის მამულიშვილური, პატრიოტული პათოსის მაგალითით მომავალი თაობის აღზრდას, ნიჭიერ შემოქმედთა გამოვლენას, პოეტური მინიატიურის განვითარებას.**

**კონკურსში** მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს 18 წლის ასაკიდან.

საკონკურსოდ წარმოდგენილი პოეტური ტექსტი უნდა შეიცავდეს მინიმუმ 2 (ორ) და მაქსიმუმ 6 (ექვს) სტრიქონს. თითოეულ ავტორს შეუძლია გამოაგზავნოს არაუმეტეს სამი ტექსტისა. ტექსტები უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ გამოუქვეყნებელი.

საკონკურსო ნაწარმოები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული ფორმით მისამართზე: **mukhranispremia@gmail.com**, ავტორის სახელისა და გვარის, სამუშაო, საცხოვრებელი ადგილის ან სასწავლებლის მითითებით. ნაწარმოების გამოგზავნის ბოლო ვადაა 1 სექტემბერი.

გამარჯვებულ ნაწარმოებებს (პირველი, მეორე, მესამე პრემია) გამოავლენს კომპეტენტური ჟიური, რომლის წევრთათვის ავტორთა ვინაობა ცნობილი არ იქნება.

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან 2024 წლის შემოდგომაზე სოფელ არგვეთში, მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმში და გადაეცემათ ფულადი პრემია.

კონკურსის ორგანიზატორია საჩხერის მუნიციპალიტეტის მერია, თანაორგანიზატორი მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმი.

დამატებით ინფორმაციას კონკურსის შესახებ მიიღებთ საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში; ასევე ტელეფონის ნომრებზე: 5 77 97 74 63, 599 99 91 63“.




# ქუთაისი 100 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის დასახელდა!

**გავლენიანმა გამოცემამ TIME-მა ქუთაისი 100 საუკეთესო ტურისტულ მიმართულებას შორის დაასახელა. „ეს არის იმერეთის და მისი ტურისტული ინდუსტრიის დიდი საერთაშორისო აღიარება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ცნობადობასთან ერთად პოპულარიზება გავუწიოთ რეგიონების ტურისტულ შესაძლებლობებსაც და ამ მხრივ, იმერეთი ნამდვილად გამორჩეული მხარეა თავისი ისტორიით, კულტურის ძეგლებით, დაცული ტერიტორიებით, გასტრონომიით, ღვინის ინდუსტრიით და სხვ.**

გამომდინარე აქედან, ჩვენ მუდმივად ვეწევით იმერეთის პოპულარიზებას. გარდა ამისა, ქვეყნის ყველაზე მზარდი აეროპორტის სიახლოვე ასევე პოზიტიურად აისახება საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის მატებაზე საქართველოს ამ უძველეს ქალაქში. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რომ ქუთაისის აეროპორტიდან ხორციელდებოდეს მეტი ფრენა მეტი მიმართულებით. მგზავრთნაკადის მატება, ბუნებრივია, ზრდის ინტერესს ქუთაისისა და ზოგადად იმერეთის ტურისტული ობიექტებისა და სერვისების მიმართ. TIME-მა კარგად შენიშნა ეს ტენდენცია, რაც ქუთაისის მიმართ არსებობს საერთაშორისო ვიზიტების ზრდის კუთხით, თუმცა, პოტენციალი გაცილებით დიდია,“ – ასე გამოეხმაურა TIME-ის გამოცემას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი.



**უცხოური ვალუტის კურსი:**
**აშშ დოლარი - 2.7214; ევრო - 2.9481;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4992;**
**100 რუბლი - 3.1536; თურქული ლირა - 0.0823;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6002;**
**1000 სომხური დრამი - 6.9779.**





# სულით ძლიერნი

### წინასწარმეტყველი ელია თეზბიტელი, ილია მართალი (ჭავჭავაძე), ანგელოზის დღე საქართველოს პატრიარქისა

**ხვალ, 2 აგვისტოს, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ელია თეზბიტელის ხსენების დღეს.**

...ქრისტესშობამდე IX საუკუნეში დაიბადა ძველი აღთქმის ერთ-ერთი უდიდესი წინასწარმეტყველი ელია თეზბიტელი; ბიბლიური გადმოცემით, ის ყმაწვილობიდანვე დასახლდა უდაბნოში და ცხოვრება მკაცრ მარხვაში გაატარა.

ელია თეზბიტელმა წინასწარმეტყველურ ასპარეზზე მოღვაწეობა დაიწყო ისრაელის მეფე აქაბის დროს. ცნობილია, რომ იმ დროს ისრაიტელმა ხალხმა უღალატა ღმერთს და კერპთაყვანისმცელობას დაუბრუნდა. ელია ამხელდა მეფე აქაბს, რის გამოც მისგან დევნას განიცდიდა... იგი ცეცხლოვანი ეტლით ცოცხლად იქნა აყვანილი ზეცაში.

* * *

**2 აგვისტოს** ილია მართლის (ჭავჭავაძის) ხსენების დღეა, იგი საქართველოს ავტოკეფალიისთვის იბრძოდა. ის ხშირად იმეორებდა „...3 ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან – მამული, ენა, სარწმუნოება“.

* * *

**სრულიად** საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილია II ანგელოზის დღეს ვულოცავთ ამონარიდით რეზო ამაშუკელის ლექსიდან: „...ვდიოთ მაცხოვარს რუდუნებით და ორ ილიას – ერთს ხატზე წერილს, მეორეს კი – ჩვენს ცოცხალ წმინდანს“.

**გიული ლიპარტია**

# „ილიაობის“ სახალხო დღესასწაული საგურამოში

**2 აგვისტოს ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმში „ილიაობის“ სახალხო დღესასწაული გაიმართება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, 2024 წელს „ილიაობას“ საგურამოს სახლში ქვემო ქართლის მხარე იქნება წარმოდგენილი.

„ილიაობის“ დღესასწაული 2014 წელს აღდგა. განახლებული ფორმატის მიხედვით ყოველი წლის 2 აგვისტოს, „ილიაობის“ მასპინძლები საგურამოში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული ადამიანები ხდებიან, ნიშნად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე ერთიანი საქართველოს სიმბოლოა და ილიას სახლი სრულიად საქართველოს ეკუთვნის.



**ძვირფასო მკითხველო!**
**გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“**
**განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**sak@sak.ge rkobulia29@gmail.com**
**ან მობრძანდით რედაქციაში: თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ; 577-772717, 599360035**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 5 აგვისტოს**